საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. ● № 5 (278) ● სამშაბათი, 14 იანვარი, 1992 წელი. ● ფასი 20 კაპიკი

ჩვენო ძვირფასო დებო და ძმებო!

[illegible]

ქიტექტურის ძეგლებთან ერთად დაიწვა რუსთაველის გამზირზე მდებარე კავშირგაბმულობის სახლი. ამ შენობასთან ერთად განადგუ- [illegible]

[illegible] „...კის“ სარედაქციო კოლეგია მოგმართავთ, მოგვაწოდოთ მასალები ნებისმიერ თემაზე. გპირდებით დაგიბეჭდოთ ისინი, რა პოლიტიკურ [illegible]

[illegible] რიგოთ ძმები, დავსახოთ კრიზისიდან გამოსვლის საშუალებები. იარაღით ბრძოლა შევცვალოთ ადამიანური, სიტყვიერი პაექრობით.

ღვთისა და ერის წინაშე

XXVII საუკუნის [illegible] ...ლი ძალები ახორციელებენ, ჩვენ სწორედ ერთად უნდა ვიყოთ. ჩვენი ძირითადი სურვილი ერთია, რის მისაღწევადაც ბრძოლაში უნდა გავერთიანდეთ დღეს ყველანი — ქვეყნის სრული დამოუკიდებლობა, პიროვნული თავისუფლება, მატერიალური კეთილდღეობა, პოლიტიკური სტაბილურობა, ქვეყნისა და თითოეული მოქალაქის უსაფრთხოების გარანტირება. არა მგონია, მოიძებნოს ვინმე კეთილისმყოფელი, რომ არ გაიზიაროს ეს ხუთი ძირითადი დებულება. ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი, რაც საჭიროა ჩვენი სრული გაერთიანებისათვის ამ ღირსეული მიზნების მისაღწევად, არის განხეთქილების აღმოფხვრა, რაც ჩვენს შორის წარმოიშვა. თანაც უნდა ითქვას სიმართლე და არა ტყუილნარევი სიმართლე. უნდა ითქვას, რომ ნებსით თუ უნებლიეთ შევცოდეთ ყველამ. ყველას მიგვიძღვის ბრალი იმ უბედურებაში, რომელიც ჩვენთან დატრიალდა, და ამიტომ ყველამ უნდა მოვინანიოთ ეს ღვთისა და ერის წინაშე. სრული სიმართლე სასამართლომ უნდა დაადგინოს, ხოლო შენდობის უფლება მაღლა ღმერთს, ამქვეყნად კი დაღუპულთა მშობლებს აქვთ, ალბათ.

შეგნებული დეზინფორმაციის შედეგია ის ჩემთვის სასაცილოდე გაუგებარი კუთხურობა, რომელიც ამ ბოლო დროს იგრძნობა ხალხში. თითქოს ბოლოდროინდელ ცოდვებს მარტო ერთი კუთხე თუ დასახლებული პუნქტი ქსრულობს. ჯერ ერთი, ეს მოვლენა არ იყო ერთპიროვნული, იგი, სამწუხაროდ, საერთო-ეროვნული იყო, ამიტომ, წარმოიდგინეთ, თ. სიგუას მიმართ კახელებს მეტი „უკმაყოფილების“ მიზეზი აქვთ, მან ხომ გ. პეტრიაშვილის, ი. ტალიაშვილის და სხვათა იდეოლოგიის წინააღმდეგ გაილაშქრა. ამ გათიშვის სრულ უსაფუძვლობასა და უაზრობას სულ მალე იგრძნობს ჩემი მოტყუებული და დამწუხრებული ხალხი.

ხევსურეთში, როცა ქალის ენის ჩარევით დაპირისპირება ხდებოდა, ქალებს ხატის შიშით ეკრძალებოდათ სალაპარაკოდ თავქოყრა. განა ხატის და ღვთის გაწყრომა არ არის ჩვენს თავს! მე, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ოჯახი ოთხი პაპისა და ერთი ბებიის მხრიდან უკანასკნელი 100 წელია ზოგი დევნილი, ზოგი რეპრესირებული, ზოგიც დახვრეტილია... ეროვნულ მოძრაობისათვის, პირველად მივეცი თავს უფლება საჯაროდ გამომეთქვა აზრი. მეც, როგორც ყველა ჩემს დასა და შვილებს, მტკივა გული, მაგრამ მახსოვს დიდი ილიას სიტყვები, თუ რა უდიდესი მისია აკისრია ქართველ დედაკაცს. ჩემს ერს დღეს განსაკუთრებით სჭირდება დედაკაცი და არა ემოციებს აყოლილი ქალი, სჭირდება შინ და გარეთ სიმშვიდე, კაცებისთვის შთაგონება იმისა, რომ კაცის კვლა, პატივმოყვარეობა, სიხარბე უდიდესი ცოდვებია და ჩვენ ყველანი იმიტომ ვისჯებით, რომ მოხვეჭილი გვაქვს ეს თვისებები. ჩემს ერს სჭირდება პური და სამოსი. ჩემს ერს სჭირდება სიკეთე და სიყვარული. და ზრუნვა ყოველივე ამისთვის სწორედ დედაკაცმა უნდა დაიწყოს. როგორც არაერთხელ საქართველოს ისტორიაში, ახლაც ქართველმა ქალმა უნდა მოუშუშოს სამშობლოს ჭრილობა, შეაკეროს უფალს დატანჯული ერი თვისი.

ИАНИНА —

იანინა სულაქველიძე,
თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

პროსპექტი იარებს იშუშებს

გასული შაბათი თბილისში ერთიან სანიტარიულ დღედ იყო გამოცხადებული. ოცი ტრაგიკული დღის განმავლობაში არ უმუშავია ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საქალაქო სამსახურს — სპეცავტომეურნეობის სამმართველოს. სავსე ბუნკერებმა, ნაგვის გროვებმა თბილისი ამ დღეებში ძალზე დაანაგვიანა.

— მანქანების მთელი პარკი ქუჩებშია გამოყვანილი, — თქვა სამმართველოს უფროსმა კუკური გუნცაძემ — ეს კი 380 ნაგავმზიდია. საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ გამოგვიყო დაახლოებით 200 სატვირთო მანქანა და 10 ავტოსატვირთველი. ჩვენს მუშაკებს დღეში რამდენიმე რეისის შესრულება უწევთ, რათა მთელი სიბინძურე გაიტანონ ნაგავსაყრელებში.

ყველაზე ცხელი წერტილი რუსთაველის პროსპექტია. ტოტებდამტვრეული ხეები, ხანძრით დამახინჯებული სახლების სახურავები, მთავრობის სახლის წინ მიყრილ-მოყრილი საბნები და ლეიბები, დამწვარი მანქანები — ასეთი იხილეს პირველმა ქვეითებმა რუსთაველის პროსპექტი. საწარმოო გაერთიანება „თბილისსაშენმასალების“ მუშაკებმა რიყეზე ჩაიტანეს დაახლოებით ასი დამწვარი სატვირთო მანქანა, მსუბუქი ავტომობილი, ამწე მექანიზმები...

როგორც ჩანს, „გონს“ პირველად ვაჭრობის ობიექტები მოეგნენ. მეშუშეები მუშაობენ ქსოვილების საფირმო მაღაზიაში და სალვეზელეში. გაკრიალდა ოპერის წინ მდებარე წიგნის მაღაზიის ვიტრინები. სახლების ფასადებს აცლიან მოძველებულ აფიშებს, განცხადებებს და ფურცლებს.

ყველაზე დიდი გამოცოცხლება ყოფილი № 1 საშუალო სკოლის წინ სუფევს. აქ შრომობენ ქალაქის გამწვანების მუშაკები. თუმცა, მათი სადღესო ფუნქციები უფრო ეწინააღმდეგება მათი მუშაობის არსს — ისინი წვავენ ჩამოცვენილ ფოთლებსა და ტოტებს, ჭურვების მოხვედრის შედეგად წაქცეულ ხეებს. დამწვარი სასტუმრო „თბილისის“ ფასადის წინ ჩვენი იქ ყოფნის დროს სამშენებლო ნაგვის გროვამ სატვირთო მანქანებში გადაინაცვლა.

სამუშაო ტრანსპორტელებისთვისაც გამოინახა. ინტენსიურად მიმდინარეობს მუშაობა ტროლეიბუსის ხაზის აღდგენისათვის. ამავე დროს მიმდინარეობს პროსპექტის ლამპიონების პლაფონების აღდგენაც.

...თავისუფლების მოედანი. აქ თბილისის საიუველირო ქარხნის მუშაკები მოსულან, რათა ნაგვისგან გაწმინდონ უნივერმაღ „თბილისის“ მოპირდაპირე მონაკვეთი. ქარხნის ადმინისტრაციამ ქალაქში ერთ-ერთმა პირველმა გადარიცხა 200 ათასი მანეთი რუსთაველის პროსპექტის აღსადგენად.

დღეს პროსპექტი გამოცოცხლდა. მუშაობს მეტროს სადგური „თავისუფლების მოედანი“, მოძრაობენ ტროლეიბუსები, ნაგვისაგან გაწმენდილია ტროტუარები. და, მართალია, დახურულია მრავალი სახელმწიფო დაწესებულება, სავაჭრო ობიექტები, ცხოვრება ძველ კალაპოტს უბრუნდება.

საქინფორმი.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის

დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკის საბიუჯეტო დაწესებულებების მუშაკთა შრომის ანაზღაურების სრულყოფისა და უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების სტუდენტთა და მოსწავლეთა სტიპენდიების გადიდების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს:

საცალო ფასების რეფორმასთან დაკავშირებით რესპუბლიკის საბიუჯეტო დაწესებულებების მუშაკთა და უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების სტუდენტთა და მოსწავლეთა სოციალური დაცვისათვის:

1. გაუდიდდეთ კულტურის, განათლების, ჯანმრთელობისა და სხვა საბიუჯეტო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაკებსა და უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების ასპირანტებს, სტუდენტებსა და მოსწავლეებს თანამდებობრივი განაკვეთები და სტიპენდიები 100 პროცენტით 1992 წლის 15 იანვრიდან.

2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროს თანამდებობრივი განაკვეთებისა და სტიპენდიების გაზრდასთან დაკავშირებით შესაბამისი სამინისტროებიდან მიღებული გაანგარიშებების შემდეგ წარმოუდგინოს წინადადება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს შესანახი ხარჯების, მათ შორის შრომის ანაზღაურების ფონდის გასადიდებლად.

3. მიღებულ იქნეს მხედველობაში, რომ „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის შესაბამისად სამეურნეო ანგარიშიანი საწარმოები და ორგანიზაციები შრომის ანაზღაურების ფორმებს, სისტემებს და ოდენობას, აგრეთვე შემოსავლების სხვა სახეებს განსაზღვრავენ დამოუკიდებლად. ამასთან შრომის ანაზღაურების მაქსიმალური ოდენობა არ იზღუდება.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი თ. სიგუა.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სახელმწიფო კანცელარიის მმართველის მოვალეობის შემსრულებელი გ. ბერიძე.

თბილისი, 1992 წლის 13 იანვარი.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის

დადგენილება

ფასების ლიბერალიზაციის პირობებში საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის გაუმჯობესების დამატებითი ღონისძიებების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკაში საპენსიო რეფორმის ეტაპობრივი განხორციელების და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში საქართველოს რესპუბლიკის საპენსიო უზრუნველყოფისა და საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტის შესახებ კანონების მიღებამდე მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს:

1. პენსიების დანიშვნა, გადაანგარიშება და გაცემა მოხდეს იმავე ნორმებითა და წესებით, რაც მოქმედებდა 1992 წლის 1 იანვრამდე.

2. 1992 წლის 15 იანვრიდან ყველა სახის პენსია და დახმარება გადიდდეს ასი პროცენტით.

3. ხელფასების, სტიპენდიების, პენსიების და დახმარებების ასი პროცენტით გადიდებასთან დაკავშირებით გაუქმდეს დღემდე მოქმედი ყველა სახის კომპენსაცია.

4. 1992 წლის 15 იანვრიდან დროებით განესაზღვროთ სახელმწიფო სოციალური დაზღვევის შენატანების ტარიფები:

საწარმოებს, დაწესებულებებს და სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, კოოპერატივებს, კოლმეურნეობებს, ყველა იურიდიული პირის უფლების მქონე სახელმწიფო სოციალური დაზღვევის შენატანების გადამხდელებს (დამზღვევებს), მეურნეობრიობისა და საკუთრების ფორმის მიუხედავად, დამქირავებლებს (სამუშაოდ მოწვეულ ცალკე პირებზე), მოქალაქეებს, რომლებიც ინდივიდუალურ შრომით საქმიანობას ეწევიან, მათ შორის ინდივიდუალური (ჯგუფური) იჯარით ან კერძო გლეხურ მეურნეობაში მომუშავეებს — 37 პროცენტის ოდენობით;

ინდივიდთა და პენსიონერთა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, მათს საწარმოებს, [illegible] ბებს გაერთიანებებსა [illegible] ლებლებს — 10 პროცენტის ოდენობით.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი თ. სიგუა.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სახელმწიფო კანცელარიის მმართველის მოვალეობის შემსრულებელი გ. ბერიძე.

თბილისი, 1992 წლის 13 იანვარი.

ბრძოლა ცეცხლის წინააღმდეგ და ცეცხლქვეშ

საქართველოს დედაქალაქში ორი კვირის განმავლობაში მიმდინარე ძმათამკვლელი ომის შედეგად დიდი დანაკარგები განიცადეს მეხანძრეებმა. მოკლულია მაიორი სერგი ბაიდოშვილი. სიკვდილს იბრძვის კიდევ ერთი კაცი, არიან დაჭრილები, გაფუჭდა მანქანები.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველოს ხელმძღვანელობის წინასწარი გაანგარიშებით, დაიწვა ოცდაათი შენობა — როგორც საცხოვრებელი სახლები, ისე სახელმწიფო დაწესებულებები. სპეციალური კომისია ახლა ზუსტად ანგარიშობს დამწვარი სახლების რაოდენობას და მატერიალურ ზარალს.

— 22 ნოემბრიდან ქალაქის ყველა სახანძრო ნაწილი მთელი დღეღამის განმავლობაში მუშაობდა, — თქვა სამმართველოს უფროსმა, შინაგანი სამსახურის პოლკოვნიკმა ჯუმბერ სურმავამ. — და პირველი ობიექტი, რომლისკენაც გავეშურეთ, იყო №1 საშუალო სკოლის შენობა, მაგრამ, მას შემდეგ, რაც თანდათანობით გაძლიერდა საომარი მოქმედება, სროლა, ცეცხლმოდებულ შენობებთან მისვლა სულ უფროდაუფრო ჭირდა. განსაკუთრებით ღამით, როცა ყოველ მოძრავ ფიგურას უშენდნენ ცეცხლს. ხანძრები კი ძირითადად ღამღამობით ბრიალებდა ხოლმე. საკუთარი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდების ფასად მიდიოდნენ ჩვენი მეხანძრეები სახლებთან. ხანძრის ჩაქრობა ჩვეულებრივ სიტუაციაშიც რთული საქმეა და, ალბათ, ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორ ჭირდა მუშაობა ორ ცეცხლშუა: ერთი მხრიდან მეხანძრეებს ტყვიის ცეცხლს უშენდნენ, მეორე მხრივ, კი იწვოდა სახლები. მაგრამ ჩვენ მაინც ვმუშაობდით. ჩვენი მეხანძრეების წყალობით ხანძარი სასტუმრო „თბილისის“ შენობიდან არ მოსდებია რუსთაველის სახელობის თეატრსა და კინოთეატრს. შევძელით ხანძრის კერის ლოკალიზებაც, რომელიც თავისუფლების მოედნის მიმდებარე სახლებიდან ეროვნული ბანკის შენობას შეიძლებოდა მოსდებოდა.

მოსახლეობა გვეხმარებოდა, თორემ მსხვერპლი მეტი იქნებოდა. თავიანთი ქერების დასაცავად ფეხზე დადგნენ მცხოვრებლები. ყველა ცეცხლსაქრობი, რომელიც კი რეზერვში გვქონდა, დავურიგეთ მათ, და ადამიანები საკუთარი ძალებით ებრძოდნენ ცეცხლს.

საომარი მოქმედების დაწყების პირველი დღეებიდანვე სატელეფონო კავშირი გაწყდა. ადამიანები თვითონ მოდიოდნენ ჩვენთან და გვეუბნებოდნენ ხანძრების მისამართს. ჩვენ ხანძრების ჩასაქრობად მივდიოდით უკვე მაშინ, როცა, სამწუხაროდ, იგი შენობას იყო მოდებული.

ჩვენი მუშაკებიდან თავს გმირად არავინ არ მიიჩნევს. ისინი ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას ადამიანების წინაშე, რომლებიც მათ ისე ხვდებოდნენ, როგორც მხსნელებს. ჩვენი უკანასკნელი გასვლის ობიექტი იყო „საომარი მოქმედების ასპარეზი“ — მთავრობის სახლის მხარეს მდებარე შენობები, ეს მოხდა 6 იანვარს. იმ დროისათვის უკვე შეწყდა სროლა და ვაქრობდით ომის უკანასკნელ კერებს. ღმერთმა ქნას, რომ ეს არასოდეს აღარ განმეორდეს.

ლარისა თუმანიშვილი,
საქინფორმის კორ.

მშვიდობით, იარაღო!

ასე ეთხოვება თავის უახლოეს წარსულს დავით ღვინჯილია — ყოფილი ხელისუფლების მომხრე გვარდიის ოფიცერი, რომელიც სომხეთის ქალაქ იჯევანამდე სხვებთან ერთად ახლდა ყოფილ პრეზიდენტს.

როგორც ცნობილია, პრეზიდენტის მცველთა ერთი ნაწილი, ორმოცდათექვსმეტი კაცი, სომხეთიდან ნინოწმინდის რაიონის გზით დაბრუნდა საქართველოში. ახალციხესთან ისინი დააკავა სამხედრო პიკეტმა, რომელმაც ყველას ჩამოართვა იარაღი და ყველანი რესპუბლიკის სამართალდამცავ ორგანოებს გადასცა.

მეორე დღეა თბილისის საქალაქო მილიციის სამმართველოში მიმდინარეობს ყოფილი პრეზიდენტის მცველთა დაკითხვა.

— დაკითხვის მიზანია დავადგინოთ ყოველი მათგანის ვინაობა,— აღნიშნა ჩვენთან საუბარში თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსმა გიორგი აბაშიძემ. ჩვენ ვიძიებთ იმას, თუ ვის აქვს ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაული. ვინც უბრალოდ, როგორც სამხედრო ვალდებული, ისროდა, ბუნებრივია, არ დაისჯება. როგორც იცით, მიმდინარეობდა ორმხრივი შეტაკება, ნამდვილი ომი და ომის გულისთვის ხალხის პასუხისგებაში მიცემა არ შეიძლება. მაგრამ სამართალდამცავი ორგანოები გამოიძიებენ და განსაზღვრავენ კონკრეტულად ვის რა დანაშაული მიუძღვის და რაზე აგებს პასუხს. როგორც იცით, ჩვენთან სამმართველოში იმყოფებოდნენ დეპუტატები ნემო ბურჭულაძე, ტარიელ გელანტია, ირინე ტალიაშვილი და სხვები. მე პირველად შევხვდი მათ, შევახვედრე პრესის წარმომადგენლებს, დავკითხეთ და შემდეგ შინ გავუშვით. დეპუტატობისა და პრეზიდენტის მხარდაჭერისათვის არავინ აგებს პასუხს, თუ არ არის გარეული სისხლის სამართლის დანაშაულში.

სწორედ სისხლის სამართლის დანაშაულის „სუნი“ ასდის დეპუტატ ნუგზარ მოლოდინაშვილის საქციელს, რომელიც პრეზიდენტის მცველთა და განსაკუთრებით დაზარალებულთა, ალიარებით პირადად ხელმძღვანელობდა ტყვედ ჩავარდნილთა და მოტაცებულთა დაკითხვასა და წამებას.

ჩვენ შევხვდით პრეზიდენტის დაცვის წარმომადგენლებს, გვარდიის ოფიცერს დავით ღვინჯილიას და ქარელის რაიონის მილიციის მუშაკს როსტომ ოდიკაძეს. ისინი ერთხმად აღნიშნავენ, რომ დაცვის ხალხი პირადად პრეზიდენტმა დაითხოვა და გამოუშვა საქართველოში, რომ ადგილზე დარჩა 15-მდე კაცი. მათ შორის დეპუტატები ნუგზარ მოლოდინაშვილი, დილარ ხაბულიანი, მანანა ძოწუაშვილი, პრეზიდენტის ოჯახის წევრები და რამდენიმე სხვა პიროვნება, რომლებიც მათთვის უცნობია.

— დაკითხვისას გამომძიებლები ხომ არაფერს არ გაძალებდნენ? ვკითხეთ დავით ღვინჯილიას.

— არა, — გვიპასუხა გვარდიელმა და განაგრძო, — თუ ახალი ხელისუფლება, ქართველი ხალხი მენდობიან, მინდა დავუბრუნდე ჩემს სპეციალობას, — ფილოლოგიას, როგორც იტყვიან მშვიდობით, იარაღო!

საქინფორმის კორ.

მხარეებიან დედაქალაქს

თოვლის საბურველშია გახვეული ქართლის მიწა, მაგრამ თოვლქვეშ, როგორც პოეტი ამბობს, უკვე იგრძნობა გაზაფხულის სუნთქვა.

ქ. გორისა და გორის რაიონის მშრომელებს წლევანდელი წელიც მძიმე და ძნელი ექნებათ. შრომითი საქმიანობის ყოველდღიურობას თავი რომ დავანებოთ, დანგრეულ და იავარქმნილ რუსთაველის გამზირსაც ხომ ხელმეორედ აშენება სჭირდება.

წლეულს გორელები ხშირად ჩავლენ დედაქალაქში აღდგენით სამუშაოებში აქტიური მონაწილეობის მისაღებად.

ამ დღეებში გორის ადგილობრივ მმართველობაში ბევრი მშრომელი მოდის. მათ დიდად აწუხებთ საქართველოს დედაქალაქის დღევანდელი მდგომარეობა, მისი ხვალინდელი დღე. გორელები თავიანთ მოსაზრებებსა და წინადადებებს სთავაზობენ ადგილობრივ ხელისუფალთ, აინტერესებთ სად და როგორ შეიძლება თანხების გადარიცხვა შოთა რუსთაველის პროსპექტის აღდგენის ფონდში.

შრომითი კოლექტივების აზრის გათვალისწინებით, გორელები მონაწილეობას მიიღებენ რუსთაველის გამზირზე მდებარე უნივერმაღის მშენებლობაში.

ამ დღეებში მშენებლობასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს დედაქალაქის მერიაში განიხილავენ.

გურამ ვაშაკიძე,
„საქართველოს რესპუბლიკის“ საკ. კორ.

ხალხის შუაგულში

საქართველოს რესპუბლიკის ილია ჭავჭავაძის სახელობის საზოგადოება „ცოდნის“ პრეზიდიუმმა მიმართა საზოგადოების ყველა წევრს, ყველა ლექტორს მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების წარმომადგენლებს. როგორც მასშია ნათქვამი, დადგა დრო, როდესაც აღარავინ გვაძალებს ხელისუფლებისათვის მხარდამჭერი წერილების გაგზავნას, მიტინგებზე დასწრებას, დაცვას, შეძახილებს, აღარ გამოიყენება ყოფილი ხელისუფლების მიერ დანერგილი შანტაჟისა და პროვოკაციის მეთოდები, ქრება უნდობლობის, ცინიზმის, დესპოტიზმის, ავადმყოფური ამბიციების, ადამიანთა ღირსების ფეხქვეშ გათელვის პერიოდი.

დადგა დრო, როდესაც ყველამ მხოლოდ სწორი, უფრო მეტიც— სასიცოცხლო პოზიცია უნდა აირჩიოს, იბრძოლოს სამოქალაქო მშვიდობის დამყარების, იარაღის ნაცვლად აზრის პრიმატის გამეფების, საკუთარი საქმის კეთილსინდისიერად კეთების, ქართველი ერის აუცილებელი კონსოლიდაციისა და ერთიანობის, მრავალტანჯულ საქართველოში სტაბილური მდგომარეობის განმტკიცების, ნამდვილი, ჭეშმარიტი, შეუქცევადი დემოკრატიის დამყარების ეთნიკური პროცესების გამწვავების შედეგად დაღვრილი სისხლის შეშრობის, დემოკრატიული არჩევნების ჩატარებისა და ქართველი ხალხის სრული ნდობით აღჭურვილი ხელისუფლების დაფუძნებისათვის.

ამ უაღრესად რთული პრობლემების ცხოვრებაში გადასაჭრელად ყველა შეგნებულმა ქართველმა, საქართველოში მცხოვრებმა ყველა კეთილი ნების ადამიანმა მხარი უნდა დაუჭიროს დროებით მთავრობას, დღევანდელ ხელისუფლებას, რომელიც შეუდგა ახალი ცხოვრების შენებას.

შეიძლება ითქვას, რომ დღეს, ალბათ ისე როგორც არასდროს, საქართველოს ლექტორ-მომხსენებელთა უზარმაზარ არმიას უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრება. მათ სწორად და სამართლიანად უნდა აუხსნან ხალხს, ცხოვრების უკულმართობით ჯერ კიდევ დაბნეულ ადამიანებს, რომ გათიშულობა და ალალ ძმებს შორის შუღლი, კუთხურობა და დაქსაქსულობა უფრო მეტ კატასტროფამდე მიიყვანს საქართველოს, საბოლოოდ დაასამარებს მთლად დანგრეულ ეკონომიკას, გაანადგურებს მრეწველობასაც და სოფლის მეურნეობასაც, შიმშილის პირამდე მიიყვანს ქართველ ხალხს, რაც დღეისათვის საქართველოს ღალატის ტოლფასია.

საზოგადოების წევრებმა, ლექტორებმა სრული მობილიზება უნდა გამოავლინონ, რომ ადამიანებს ნამდვილი შთაგონებით გააცნონ საქართველოს უძველესი ისტორია, ლიტერატურა, ხელოვნება, ქართული სახელმწიფოებრიობის გზები, ეკონომიკის, იურისპრუდენციის, კანონთა უზენაესობის თუ ეკოლოგიის აქტუალური საკითხები, საბაზრო ეკონომიკისაკენ მიმავალი გზების, თავისუფალი ფასების, პრივატიზაციისა თუ კერძო საკუთრების აუცილებლობა, სახელმწიფო კაპიტალიზმის მავნე თეორიის უნიადაგობა, კავკასიის ხალხებისა და საერთოდ ყველა ხალხის კეთილი მეზობლობისა და ურთიერთობის აუცილებლობა, მთავრობისა და ხელისუფლების დადგენილებებისა და გადაწყვეტილებების სწორი ახსნა-განმარტება, უაღრესად საჭირო ეროვნული და ცხოვრებისეული პოზიციის გამოხატვა.

დღევანდელ ვითარებაში ლექტორებს შეუძლიათ ფასდაუდებელი დახმარება გაუწიონ მთავრობას, ხელისუფლებას, იტრიალონ ხალხის შუაგულში და აკეთონ მათთვის სასარგებლო საქმე, მოაწყონ ლექციები, საუბრები საქმიანი შეხვედრები, კითხვა-პასუხის საათები თუ საღამოები.

ამ კეთილშობილურ საქმეში მათ მხარში დგომა და დახმარება დასჭირდებათ, რაც აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ ყველა ქალაქის, რაიონის, სოფლის, დაბის, დასახლების საკრებულოებმა, რათა ცოცხალი სიტყვა [illegible] განუწყვეტლივ ისმოდეს ხალხში, აწვდიდეს მას ობიექტურ, ამომწურავ ინფორმაციას და საგრძნობ დახმარებას უწევდეს ეროვნულ ხელისუფლებას, რომელმაც დანგრეულ რუსთაველის პროსპექტსა, დანგრეულ ეკონომიკასა თუ დანგრეულ ადამიანურ ურთიერთობებთან ერთად შერყვნილი და დანგრეული ადამიანთა სულებიც უნდა აღადგინოს.

...მთავარია, რომ დავიწყეთ!

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის დროებით შემსრულებლის თენგიზ სიგუას წარდგინებით სამხედრო საბჭომ საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო დეპარტამენტის გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად დანიშნა ჟურნალისტი ვახტანგ ხუნდაძე. საქინფორმის კორესპონდენტმა რამდენიმე კითხვით მიმართა მას:

— ბატონო ვახტანგ, რა არის ამ ეტაპზე თქვენი, როგორც, დეპარტამენტის ხელმძღვანელის, უპირველესი მიზანი?

— რადიო-ტელევიზიის მთელი სიმძლავრით ამუშავება. მოგეხსენებათ, 17 სექტემბრის შემდეგ აქედან გადაცემა არ ყოფილა.

— იძლევა თუ არა არსებული ტექნიკა მთელი სიმძლავრით ამუშავების საშუალებას?

— რა თქმა უნდა, ძალიან გაჭირდება. უზენაეს საბჭოში დაიკარგა ხუთი ვიდეოკამერა. გაფუჭდა იქ მდგარი ორი მოძრავი სატელევიზიო სადგური. არის სხვა დანაკლისიც. მაგრამ კოლექტივის მოწადინებით, ალბათ, ყველა გაჭირვება დაიძლევა.

— რა პოზიციას დაიკავებს დეპარტამენტი ან პირადად თქვენ იმ ჟურნალისტების მიმართ, რომლებიც უზენაეს საბჭოში სახელდახელოდ მოწყობილ ეგრეთ წოდებულ „საპრეზიდენტო ტელევიზიაში“ მუშაობდნენ?

— თავად განსაჯონ, აქვთ თუ არა მორალური უფლება მოვიდნენ დეპარტამენტში.

— მოსახლეობის ერთი ნაწილი, განსაკუთრებით ყოფილი ხელისუფლების მომხრენი აღნიშნავენ, რომ რადიოტელევიზიით არ ისმის ყოფილი პრეზიდენტის მხარდამჭერთა ხმა.

— ამ შენიშვნას ვერ გავიზიარებ. ჩვენ პირველსავე დღეს გამოვაცხადეთ, რომ ყველას ეძლევა საშუალება ტელეეკრანიდან წამოაყენოს კონსტრუქციული წინადადებანი, ახლაც ყველას შეუძლია თავისუფლად გამოთქვას თავისი აზრი, მაგრამ ყოფილი პრეზიდენტის მხარდამჭერები დიდ ხალისს არ იჩენენ.

ჩვენ კონკრეტულად მივმართეთ პარლამენტის დეპუტატებს, მრგვალი მაგიდის წევრებს, ვთხოვეთ ეთერში გამოსვლა, მაგრამ ამაოდ.

— ისმის უკმაყოფილების ხმები პრეზიდენტის მხარდამჭერი დემონსტრაცია-მიტინგების სათანადოდ გაუშუქებლობის გამოც. მოსკოვის ტელეგადაცემებით რატომ უნდა ვიგებდეთ ჩვენს ამბავს, — კითხულობენ მავანნი...

— ჯერ ერთი, მოსკოვის სატელევიზიო საინფორმაციო პროგრამის ჩვენება საქართველოში სწორი პოზიციაა — ესეც გვეხმარება მოსახლეობის ინფორმირებაში. გარდა ამისა, ჩვენ ყველა მიტინგზე ვგზავნით კორესპონდენტებს, მაგრამ ორგანიზატორები უსაფრთხოების გარანტიებს ვერ გვაძლევენ. ალბათ, გახსოვთ და მთელმა საქართველომ ნახა ეკრანიდან სწორედ ერთ-ერთ ასეთ მიტინგზე ნაცემი და შემდეგ ბუნკერში ნაწამები ჩვენი ტელეჟურნალისტი მიხეილ მჭედლიძე, მის თანმხლებ ოპერატორს კი ფირი წაართვეს.

— როგორ იქნება სხვა არხებისა და პოპულარული პროგრამების საქმე?

— თანდათანობით აღვადგენთ ყველა პოპულარულ პროგრამას. მთავარია, რომ დავიწყეთ, დავიწყეთ სიტყვის ჭეშმარიტი თავისუფლებით.

ომარ ჩიტაია.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

კონგრესი მუშაობას იწყებს

18 იანვარს საზოგადოება „ცოდნის“ შენობაში გაიმართა საქართველოს ეროვნული კონგრესის პრეზიდიუმის კრება.

— ეროვნული კონგრესი, — თქვა მისმა ერთ-ერთმა ლიდერმა ირაკლი წერეთელმა, — ერთადერთი არჩეული პოლიტიკური ორგანოა, რომელმაც დღეს შეინარჩუნა პოლიტიკური სტატუსი, რადგან რესპუბლიკის უზენაესი საბჭო შეაჩერა მიმდინარე წლის იანვარში სამხედრო საბჭომ.

კრებაზე განვიხილეთ შემდეგი საკითხები: 1921 წლის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის აღდგენისა და ამ გაზაფხულზე პარლამენტის არჩევნებში ეროვნული კონგრესის მონაწილეობის საკითხები.

ინგა დვორონვაია,
ია აფხაიძე,
საქინფორმის კორ

ცენტრალური საარჩევნო კომისიისაგან

ტერიტორიულ და საოლქო საარჩევნო კომისიებს ვთხოვთ სასწრაფოდ წარმოადგინონ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს და ადგილობრივი საკრებულოების არჩევნების შედეგები და საფინანსო ანგარიშები.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციას

უპირველესად ყოვლისა, ...

[illegible]

აი, ... პატივისცემით,

ჟიული შარტავა.

რედაქციისაგან: ვაქვეყნებთ ქ. შარტავას აღნიშნულ წერილს.

საქართველოა ორივე მხარეს

შევიტყვე, რომ რადიოთი გამოსვლისას ა. წ. 1 ოქტომბერს თქვენ გიხსენებივართ. როგორც გადმომცეს, გინდათ გაარკვიოთ, უფრო სწორედ, უკვე „გაგირკვევიათ", თუ რომელ ბანაკში, ბარიკადების რომელ მხარეს ვარ მე. თანაც, ამაზე მსჯელობა ისეთი კონტექსტით დაგიწყიათ, რომ, როგორც ჩანს, საჭიროა სათანადო ...

ამ გადაწყვეტილების მიღება ხანგრძლივი ფიქრის, განსჯის შედეგია, და არა ერთი ან რამდენიმე ემოციური აფეთქებისა. არ იყო იგი ადვილი ჩემთვის, კაცისთვის, რომელიც წლების მანძილზე საქმიანობდა ძველ სტრუქტურებსა და სისტემაში, რომლებიც დაიმსხვრა, თანაც სავსებით სამართლიანად, სავსებით ლოგიკურად. ...

რემოცული პიროვნებები.

თუ კი ბატონ მუხრან მაჭავარიანს ლენინსა და სტალინზე, კომკავშირზე ლექსების წერა იმისთვის სჭირდებოდა, რომ მის პატრიოტულ, ეროვნულ თემას ჰქონოდა გზა გახსნილი, რატომ უნდა ვუწოდოთ ძველ სტრუქტურებსა და სისტემებში მომუშავე ყველა წესიერ, თავდადებულ კაცს კო...

[illegible]

ეს ჩასაფრებული კაცის პოზიცია, როდია, მერწმუნეთ, ეს არის პოზიცია კაცისა, რომელსაც გულით უნდა ყველაფერი კარგად იყოს საქართველოში და თავისი კონკრეტული წვლილი შეიტანოს ამ საქმეში. ასეა ეს.

1991 წლის 2 ოქტომბერი.

ვინ გადაბუგა მთაწმინდა?

კარგად ვხედავდით სასახლის მხრიდან სნაიპერები როგორ ესროდნენ გაზგაყვანილობის მილს, ...



თბილისში დატრიალებულმა ტრაგედიამ თავისი მსახვრალი ხელი ყველაზე მეტად ჩვენთვის უსაყვარლეს მთაწმინდის უბანს დააჩნია. აქ განადგურებული და ჩაფერფლილია საცხოვრებელი სახლები, ზოგი პირისაგან მიწისა აღგვილა. მოსახლეობა გახიზნულია. სასწაულად გადარჩენილ მთელ რიგ შენობებში ნორმალური ცხოვრებისათვის საჭირო ელემენტარული პირობებიც კი არ არის, მაგრამ პატრონები მაინც ვერ ტოვებენ იქაურობას...

უცქერი ქალაქის იავარქმნილ ქუჩებს და თვალზე ცრემლშეყინულს ტვინს გიბურღავს მტანჯველი კითხვები: „მაინც, ვინ გაიმეტა ასე თბილისი? ვის მოუბრუნდა ხელი მისი გადაწვისათვის? ვინ არის მოთავე ამ ყოვლად უდანაშაულო მცხოვრებთა ტრაგედიისა?

თვითმხილველთა ნაამბობიდან

მალხაზ აფრიდონიძე, იურისტი: — ვცხოვრობდით ძმები ზუბალა...

[illegible]

დი და დღემდე სანანებლად მაქვს — არ გვქონდა ვიდეოკამერა, რომ ეს ყველაფერი ფირზე აღგვებეჭდა. ბევრს დღესაც ტვინი აქვს გაყინული, დღესაც, თბილისში დატრიალებული ამ შემზარავი ტრაგედიის შემდეგაც ვერ ხვდება ან არ უნდა მიხვდეს, ვისი მიზეზით მოხდა ეს გაუგონარი სისხლისღვრა ძმათა შორის.

ფაქტი განსჯისათვის: თავზარდაცემული ვდგავართ შევჩენკოს ქუჩაზე მდებარე № 27 სახლთან, აქ მწოლიარე ავადმყოფი კაცი შენობასთან ერთად დაიწვა, მარტო იყო და ვერ გამოვიდა გარეთ...

ისევ თვითმხილველის ნაამბობიდან:

დიანა ბერიძე-დუმბაძე, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის თანამშრომელი, მცხოვრები ზუბალაშვილების ქუჩაზე № 30 სახლში: — შეიძლება ითქვას, რომ ბეწვზეა გადარჩენილი დაწვას ჩვენი ხუთსართულიანი სახლი. მაგრამ, რაც ...

[illegible]

ვილენა მჭედლიძე, საქჩაიმომარაგების მთავარი ბუღალტერი: — სასწაულად გადავრჩით. ენით გამოუთქმელია საშინელება, რომელიც განვიცადეთ იმ საბედისწერო დღეებში. ჯერაც ვერ მოვსულვართ გონს. სიმართლე გსურთ? რაც ჩემი თვალით ვიხილე, იმას გეუბნებით: მთავრობის სახლის მხრიდან ისროდნენ, წითლად განათებული ტყვიები სეტყვასავით მოდიოდა ჩვენკენ. ალბათ, ნახავდით მეოთხე-მეხუთე სართულის მცხოვრებთა ბინებს, თუ რა საშინელ მდგომარეობაშია. რომ არა ოპოზიციის მომხრე ბიჭების დახმარება, ჩვენი სახლიც დაიწვებოდა. ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ ოპოზიციის მხარეზე ვარ, უბრალოდ, ჭეშმარიტებას აღვნიშნავ.

ფაქტი განსჯისათვის: ჩვენ ვიხილეთ დაცხრილული აივნები, ჩამსხვრეული მინები, ნატყვიარი მაცივარი, ავეჯი, ოთახის კედლები. მთლიანად ჩამწვარი არქიტექტორ ვალერიან შარანგიას სახელოსნო, სამწუხარო სიმართლე: ეს ბინები სახლის იმ კუთხეშია განლაგებული, რომელიც პირდაპირ მთავრობის სასახლეს გაჰყურებს...

სოფიო ლორთქიფანიძე, ინჟინერი: — ჩვენი უბანი ნამდვილი ფრონტის წინა ხაზი იყო. არადა, იგი საკმაო მანძილითაა დაშორებული რუსთაველის პროსპექტს, სადაც ოპოზიციონერები იყვნენ და...

[illegible]

... მათ უამბეს მხოლოდ ის, რაც საკუთარი თვალით ნახეს და განიცადეს.

როდესაც ძმები ზუბალაშვილების ქუჩას მივუყვებოდით, ერთი ყურადსაღები ფაქტი ჩვენც შევნიშნეთ: ძირითადად დაცხრილულია შენობების ის მხარე, რომელიც მთავრობის სასახლეს შეჰყურებს...

ნინო თათრულაიძე,
საქინფორმის კორ.

ბონდო დვალიშვილის ფოტო
(საქინფორმის ფოტოქრონიკა)

გურამ ხარაიძე

მოთხრობა

მზე საუკუნეთა

„...ქვეყანასა მზისასა აღმოსავლეთით — კერძო, რომელსა უწოდების ჩინ-მაჩინი, გამოჩნდეს კაცნი ვინმე საკვირველნი ადგილსა უყრუურმად წოდებულსა, უცხო სახითა, წესითა და შესახედავადაც. რამეთუ არიან უცხონი, უცხო-სახე უცხო—ცხოვრება, პურისა გემო არა იციდიან.."

მოხუცი ნოინი არ იმჩნევდა. მომჟავო კუმისის ნაცვლად რაღაც რძისმაგვარ, მღვრიე სასმელს რომ მიართმევდნენ ხოლმე. უნდა მოჰყურებულიყო და თვალი დაეხუჭა კარისკაცთა გაიძვერობაზე. ცხენის რძე იმდენად ძნელი საშოვნი გახდა, ქეიფის დროს კი არა, ...

უნდა მოტყუებულიყო და საათობით ეგდო ყური მთავარი მეჯინიბის წუწუნისათვის: გადაშენების გზას ადგანან მონღოლთა ცხენები, თითქოს უცნობი სენი შეეყარათ, აღარც მრავლდებიან. თქვენი ბრძანების თანახმად, რაც შეიძლება, ნაკლებად ვწველით. კვიცები მეტწილად გაგუდულები ...

შემდეგ კი მოცელილებივით გაიშხლართნენ ნოხზე; თაყვანი სცეს ნოინს და შიშით თავი ასწიეს. კარავში ნამდვილი მადისაღმძვრელი კუმისისა და მოხარშული კვიცის ხორცის სუნი ტრიალებდა. სიბრაზით რეტი დაესხა ნოინს, მათრახის ტარს ისე მოუჭირა თითები, სახსრებმა ტკაცა-ტკუცი დაიწყეს. ზიზღით უცქერდა ნოხზე გართხმულთა ქვეს გაპარსულ, ოფლიან კეფას, ძლივს შეიკავა სურვილი სატევარი ეძრო და წაესხიპა ეს გაპრიალებული გოგრები ისევე უხმოდ გავიდა, კარავიდან. როგორც შემოვიდა.

ლისოდენად დაეფარა რიყის ქვით მოკირწყლული გზა.

ოთხი მუზოსანი აჩრდილივით მიჰყვებოდა ნოინს. შფოთიანი დრო იყო, ღამით მარტო სიარული ხიფათის ძებნას ნიშნავდა.

უეცრად შუკიდან ნაგაზი გამოვარდა და გაშმაგებული ეძგერა ფიქრებში წასულ მბრძანებელს. წამიც და შუბის წვერზე წამოგებულმა ძაღლმა წკავწკავით დააფრთხო მთვლემარე მიდამო.

ნოინი ისევ ფიქრს მიეცა. რადაც უნდა დასჯდომოდა, განადგურებისაგან უნდა გადაერჩინა მონოლთა რემა. ღამით, ქურდულად, კლდეებისაკენ იტაცებდნენ მეომრები ცხენებს, ჰკლავდნენ და სვავებივით ერთმანეთს ჭამას არ აცლიდნენ. დილით კი ასისთავის თანხლებით ნოინის კარავს მიადგებოდნენ: ღამით ცხენი მოგვტაცეს დავიღუპეთ, გვიშველეთო.

ეთესო ნაჭრები ასისთავმა მოწყალედ მიიღო თავის კარავში.

თავს ზევით ძალა არ იყო... თვალნათლივ ხედავდა ნოინი, როგორ იხრწნებოდა ურდო, ქურდობა, ყაჩაღობა, ძალადობა, ერთმანეთის დაბეზღება და ზურგს უკან სამარის გათხრა- ორი ლუკმა ხორცისა თუ ახალი ჩექმისათვის კაცი კაცს არ ინდობდა, მეგობარი მეგობარს ჰყიდდა, სხვაგანაც ასე იყო. ოდესღაც ვაჟკაცი მონღოლი მეომარი ტურას დაემსგავსა.

[illegible]

საქართველოს სახალხო ფრონტის განცხადება

საქართველოს სახალხო ფრონტი ღვთისა და ერის წინაშე აცხადებს, რომ ის ოპოზიციაში იყო, არის და იქნება იმ ხელისუფლების მიმართ, რომელიც არ ან ვერ შეძლებს შემდეგი ძირითადი მოთხოვნების შესრულებას:

1. სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის და საზღვრების დაცვა საკუთარი ძალებით;
2. საქართველოს შეუსვლელობა ყოფილ სსრკ-ს ადგილზე წარმოშობილ ნებისმიერ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნში;
3. ადამიანის და მოქალაქის უფლებების განუხრელი დაცვა;
4. საქართველოში სამოქალაქო საზოგადოებისა და თავისუფალი მეწარმეობის ჩამოყალიბებისათვის ზრუნვა და ხელის შეწყობა.

ცნობილია, ჩვენ მკვეთრ ოპოზიციაში ვიყავით როგორც კომუნისტური, ისე პრეზიდენტის რეჟიმის დროს, რადგან უხეში დარღვევები იყო უკლებლივ ყველა აღნიშნულ სფეროში. ამასთანავე ჩვენ ვცნობთ და ვხელმძღვანელობთ მშვიდობიანი და საპარლამენტო პოლიტიკური ბრძოლის პრინციპებით. ჩვენ არ მიგვიღია მონაწილეობა შეიარაღებულ კონფლიქტში მთავრობის სახლთან. კიდევ ერთხელ ვაცხადებთ, რომ ძმათა შორის სისხლისღვრაში არ არსებობს არც გამარჯვებული და არც უდანაშაულო.

მომხდარ და, სამწუხაროდ ჯერჯერობით ცვლავ შესაძლო სისხლისღვრას ჩვენ აღვიქვამთ როგორც ეროვნულ ტრაგედიას, რომელიც უშუალოდ და პიროვნულად ეხება საქართველოს ყველა მოქალაქეს, თუნდაც იმიტომ, რომ მავანის მოქმედებით თუ მავანის უმოქმედობით, ზოგის სიტყვით და ზოგის დუმილით ჩვენთან შემზადდა ის ფაქტობრივი რეალობა და ფსიქოლოგიური განწყობა, რომელმაც შესაძლებელი გახადა ძმათამკვლელი ომი. ჩვენ პიროვნულად არ ვიხსნით პასუხისმგებლობას მომხდარი ამბისთვის და ვაცხადებთ: არ არსებობს არც ერთი ქართველი, არც საქართველოში და არც მის ფარგლებს გარეთ, რომელიც თავისუფალია ამგვარი პასუხისმგებლობისგან.

თავისი პოლიტიკური პრინციპების შესაბამისად, სახალხო ფრონტი არ მონაწილეობს დროებითი მთავრობის და დღევანდელი ხელისუფლების სხვა უმაღლესი ეშელონების ფორმირებაში.

ამასთან ერთად, ითვალისწინებს რა დე ფაქტოდ არსებულ რეალურ ვითარებას, სახალხო ფრონტი მზად არის ხელი შეუწყოს როგორც დროებით მთავრობას, ისე ყველა სხვა პოლიტიკურ ძალას იმ ღონისძიებების გატარებაში, რომელთა მიზანი იქნება მდგომარეობის სტაბილიზაცია და ნორმალიზაცია ისე, რომ გარანტირებული იყოს მოქალაქეთა უსაფრთხოება და უფლებები. ამ მხრივ ჩვენ ვითანამშრომლებთ დროებით მთავრობასთან და ამასვე მოვუწოდებთ საქართველოს მოსახლეობას.

ჩვენი აზრით, სიტუაციის უსწრაფესი სტაბილიზაციისათვის და შემდგომი სისხლისღვრის თავიდან აცილების მიზნით უახლოეს დღეებში აუცილებელია:

1. დროებითი მთავრობის დადგენილებით მიეცეთ ხელშეუხებლობის გარანტიები იმ პირებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ბრძოლაში მთავრობის სახლთან, გარდა იმ პირებისა, ორივე მხრიდან, რომლებსაც უშუალოდ მიუძღვით ბრალი სისხლის სამართლის კონკრეტულ დანაშაულში;
2. შესაბამისი დადგენილებით იმ პირებს, რომლებიც ნებაყოფლობით ჩააბარებენ იარაღს, აუნაზღაურდეთ იარაღის საბაზრო ღირებულება;
3. ყოფილი ხელისუფლების მომხრეებს მოვუწოდებთ, ისარგებლონ დროებითი მთავრობის გარანტიებით, გაითვალისწინონ ამჟამად მოქმედი საგანგებო წესები, და ურთიერთდაპირისპირება ქუჩიდან გადაიტანონ პრესის ფურცლებზე და ტელევიზიაში. აუცილებელია გაიმართოს ღია ტელეკამათი დროებითი მთავრობის წარმომადგენლებსა, ერთის მხრივ და იმ დეპუტატებსა და ყოფილ პრეფექტებს შორის, მეორე მხრივ, რომლებიც წარმოადგენენ რაიონებს, სადაც სიტუაცია დაძაბულია და არსებობს შეიარაღებული დაპირისპირების რეალური საფრთხე.
4. ადგილებზე ხელისუფლება მთელი სისრულით განახორციელონ საკრებულოებმა;
5. დაუყოვნებლივ გამოცხადდეს საპარლამენტო არჩევნების თარიღი (არა უგვიანეს ა. წ. მარტისა) და მისი ჩატარების წესი. არსებობს ორი ყველაზე რეალური და მისაღები შესაძლებლობა არჩევნების დანიშვნისა: ა) მას ნიშნავს უზენაესი საბჭო; ბ) არჩევნებს აცხადებს ეროვნული კრება. მომავალი პარლამენტის უფლებამოსილება უნდა განისაზღვროს სულ დიდი სამი წლით;
6. არჩევნების დანიშვნისთანავე სამხედრო საბჭომ უნდა მოიხსნას ყველა უფლებამოსილება;
7. დაზუსტდეს პოლიტიკურ პარტიათა საკონსულტაციო რესპუბლიკური საბჭოს სტატუსი. დროებითმა მთავრობამ იკისროს ვალდებულება თავის მუშაობაში გაითვალისწინოს ამ საბჭოს გადაწყვეტილებები. დაევალდებულოს ყველა პოლიტიკური პარტია, რომელსაც მომავალ არჩევნებში მონაწილეობის სურვილი აქვს, აღნიშნულ საბჭოში მუშაობა, რათა დაჩქარდეს არსებული კრიზისის პოლიტიკური მოწესრიგება, განსაკუთრებით ადგილებზე;
8. საქართველოს მიმართ სავსებით მოსალოდნელი იურიდიული აგრესიების საფრთხის გამო ახალი პარლამენტის არჩევამდე შევინარჩუნოთ (დაკონსერვდეს) უზენაესი საბჭო.

სახალხო ფრონტი გლოვობს ჩვენი ქვეყნის ყველა შვილს, რომელიც 22 დეკემბრიდან დღემდე დაიღუპა, და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილთა ოჯახებს, სრულიად საქართველოს.

კატეგორიულად ვგმობთ მიტინგისთვის ცეცხლის გახსნას, მოვითხოვთ ფაქტის დაუყოვნებლივ გამოძიებას და დამნაშავეთათვის პასუხისმგებლობის დაკისრებას მთელი სისრულით.

ორივე მხარეს შევახსენებთ, რომ საქართველოს ისტორია არ დაწყებულა ხელისუფლებაში მოსვლით და არ უნდა დამთავრდეს მათი გადადგომის გამო, და მოვითხოვთ მათგან თავის ყველა შესაძლო ნაბიჯებში გაითვალისწინონ ეს.

საქართველოს სახალხო ფრონტის დარბაზი.

თბილისი, 1992 წლის 9 იანვარი.

ემზადებიან საგანგებო სესიისათვის

12 იანვარს კინოს სახლში გაიმართა საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატთა მორიგი კრება, რომლის საქმიანობა თბილისში მომხდარი ტრაგიკული ამბების შემდეგ რესპუბლიკის სამხედრო საბჭომ შეაჩერა.

პარლამენტის ყველა პოლიტიკური ფრაქციის წარმომადგენელმა საინიციატივო ჯგუფმა იკისრა პასუხისმგებლობა უზენაესი საბჭოს საგანგებო სესიის მომზადებისთვის. სამწუხაროდ, ამჯერადაც ვერ უზრუნველყვეს კვორუმი. როგორც საინიციატივო ჯგუფის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, დეპუტატმა რომან გოცირიძემ განაცხადა, დარბაზში შეიკრიბა მხოლოდ 93 დეპუტატი.

იმის მიუხედავად, რომ კვორუმი არ ყოფილა, მაინც გაიმართა თათბირი მომავალი სესიისათვის მზადებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მაგრამ იგი დახურული იყო.

საქინფორმი



კვლავ ღელავს საზოგადოებრივი აზრი, კვლავ არ ცხრება პოლიტიკური ვნებები.

ფელიქს კრიმსკის ფოტო.

შევწყვიტოთ დაპირისპირება

საქართველოს ვეტერანთა რესპუბლიკურმა საბჭომ ღრმა სამძიმარი გამოუცხადა ძმათამკვლელ ომში დაღუპულთა ოჯახებს, მათ ნათესავებს და ახლობლებს.

— ჩვენ ჭირ-ვარამში გამოვლილ თაობას, — აღნიშნულია საბჭოს განცხადებაში, — ბევრი უბედურება დაატყდა თავს, მაგრამ არასოდეს წარმოგვედგინა, რომ ასეთი შემზარავი ტრაგედიის მოწმე გავხდებოდით. დაიღვარა სისხლი, დაიღუპა მრავალი ახალგაზრდა, დაინგრა, დაიწვა ჩვენი დედაქალაქის ულამაზესი უბანი. ბევრი ოჯახი გაუბედურდა, უსახლკაროდ დარჩა. გასული წლის მანძილზე შექმნილმა ვითარებამ წარმოშვა შუღლი, ღვარძლი, სიძულვილი, მტრობა, ძმათა შორის დამღუპველი შეტაკებანი. ახლა მაინც მოვეგოთ გონს.

მოგმართავთ ვეტერანებს, ყველა ხანდაზმულს, აქტიურად ჩაებათ ჩვენს რესპუბლიკაში დაძაბული მდგომარეობის განმუხტვის საქმეში. თქვენ ყველას გყავთ შვილები, შვილიშვილები, დები, ძმები, ნათესავები, მეზობლები. გამოიყენეთ თქვენი ავტორიტეტი, გამოცდილება მათზე კეთილი ზეგავლენის მოსახდენად. დღეს თითოეული ჩვენგანის მთავარი საზრუნავი უნდა იყოს გაერთიანება, ყოველგვარი დაპირისპირების შეწყვეტა და ალმშენებლობით საქმიანობაში აქტიური მონაწილეობა სამშობლოს გადასარჩენად.

დღეს, როგორც არასდროს...

ახლა, როცა ერს მძიმე წუთები უდგას, ქვეყნისთვის დამაშვრალი ადამიანები მიმართავენ მას, საფიქრალს უმხელენ, ამხნევებენ. მათ სიტყვას მუდამ ველით... ძნელია, რამე დაამატო მათ ნათქვამს, მაგრამ მაინც გავბედე ჩემი და ჩემი მრავალი მეგობრის გულისთქმის თქვენამდე მოტანა.

ჩვენ 25 წლისანი ვართ. სწორედ იმ ასაკში, როცა შეგნებული ცხოვრების სურვილი ყველაზე მეტად მძაფრდება.

სწორედ შეგნებული ცხოვრების და არა უბრალოდ არსებობის...

მატერიალურ კეთილდღეობას მოკლებულნი, ყველაზე მეტად ჩვენს სულიერ სამყაროს ვუფრთხილდებოდით, რადგან გვჯეროდა, რომ მხოლოდ ამ გზით შეგვეძლო მომავლისთვის თამამად გაგვესწორებინა თვალი.

მაგრამ ერთ-ერთი იმ უბედურებათაგანი დაგვატყდა თავს, რასაც ახალგაზრდის სულიერი სამყაროს ნგრევის საშიშროება ჰქვია. დიახ, ის ერთ დროს ძლიერი გვეჩვენებოდა, თუმცა ვერაფრით გავამდიდრეთ და ვერც ვერაფერი შევმატეთ ბოლო ხანებში.

უცებ ვიგრძენით, რომ უცხონი გავხდით ჩვენი მშობლიური ქალაქისათვის, ან ის გახდა ჩვენთვის უცხო. ნელ-ნელა გაუფასურდა და უაზრო შეიქნა ბევრი ისეთი მეტად ძვირფასი ცნება, ურომლისოდაც ადრე ცხოვრება ვერც კი წარმოგვედგინა.

დღეს ზღაპარი გვგონია, როცა ჩვენი მშობლების მონათხრობს ვისმენთ, როგორ თამამად დადიოდნენ თბილისის ქუჩებში გვიან ღამითაც კი, როგორ ამაყობდნენ თავიანთი უბნებით, როგორ უყვარდათ, როგორ სწამდათ...

მაშინ კომუნისტური წყობა მძვინვარებდა და მასაც კი არ შეუშლია ხელი ადამიანთა ჯანსაღი ურთიერთობებისათვის.

ჩვენ კი დღეს შიშით და ძრწოლით დავდივართ მშობლიური ქალაქის ქუჩებში. ყოველდღე ვისმენთ გაუგონარ დანაშაულთა ამბებს — როგორ გახადეს, გაძარცვეს, როგორ მოკლეს და აწამეს.

რატომ არ მოუხმეს ქუდზე კაცს მაშინ, როცა უნივერსიტეტის კედელთან, ყველას თვალწინ, ორი საუკეთესო ახალგაზრდა მოგვიკლეს. ან მაშინ, სულ ბოლო ხანს, 15 წლის ბიჭი ისევ უნივერსიტეტთან ტყავის ქურთუკის გულისთვის რომ გამოასალმეს სიცოცხლეს.

სწორედ მკვლელები უნდა გვემხილებინა, მათთვის უნდა გვეწოდებინა საქართველოს მტრები, დაუძინებელი მტრები, რომლებიც მომავალს უკლავდნენ ქვეყანას.

მაშინ კი ნამდვილად გამართლებული იქნებოდა მოწოდებები ერთ მუშტად შეკვრისა, ერთად დგომისა, — გამართლებული იქნებოდა ყველაზე დიდი რისხვა, რასაც მოძმეთ რისხვა ჰქვია.

ჩვენ კი გვესმოდა მოწოდებები მხოლოდ იმისთვის, რომ ერთად შევყრილიყავით და გვესმინა ერთმანეთის ლანძღვა, ან ცადაღვლენილი ერთპიროვნული ხოტბა, გვეცქირა ურთიერთგაუტანლობის ზეიმისათვის და შემდეგ ტაშიც დაგვეკრა.

ჩვენში სახლდებოდა ეჭვი და უნდობლობა, რათა კიდევ უფრო მძაფრად გვეგრძნო რას ნიშნავს ორად გაყოფილი საქართველო.

გვესმოდა დაუშრეტელი ბოღმით და ღვარძლით სავსე ქართული და ვნატრობდით მშვიდი და დარბაისლური ქართული გაგვეგონა.

ამ დროს კი ხელისუფალთა მსტოვარნი ეახლებოდნენ ხალხს, და როგორც ყოველთვის, არც ახლა აინტერესებდათ მისი აზრი, ფიქრი და წუხილი, მაგრამ სხვებისგან განსხვავებით, შეთითხნილი ნიღაბი უმალ ჩამოეცლებოდათ ხოლმე. მათ ხომ მისი მორგებაც არ შეეძლოთ.

ნელ-ნელა იმსხვრეოდა ხატი ქალის კდემამოსილებისა, უფასურდებოდა ცნება ქართული ვაჟკაცობის, ურთიერთგატანის, თანადგომის და ვგრძნობდით, როგორ ღატაკდებოდნენ ჩვენი სულები, რომელთაც ენატრებოდათ სილაღე და კიდევ ნამდვილი დღესასწაულები... „ჯვარს ეცვი თუ გინდა, საშველი არ არის, არ არის, არარის" — ასე ისადგურებდა ჩვენს არსებაში მომავლის შიში და ბორგავდნენ ჩვენი სულები. ბორგავენ დღესაც, რადგან უცოდველთა სისხლით კვლავ მორწყა თბილისი. ჯერ მათი სახელებიც კი არ ვიცით. სამართალს ითხოვს დაღვრილი სისხლი, მაგრამ განა იოლია „ცოდვა-ბრალით მონათლული სამართლის" განსჯა?

გასულ საუკუნეში ნიკოლოზ ბარათაშვილის ნათქვამი — „ვაი, ჩვენო ქართლის ბედოო" — ყველა თაობის სათქმელად დარჩა. უფროს თაობებს რუსთაველის პროსპექტზე დატრიალებული სხვა ტრაგედიებიც ახსოვთ.

ვინ იფიქრებდა, რომ 9 აპრილის შემდეგ კიდევ უფრო მწარე ხვედრს — ძმათა სისხლისღვრის აღქმას და განცდას გვარგუნებდა განგება და კიდევ — გულისდამთუთქავად გადამწვარ რუსთაველის პროსპექტს...

და ახლა, როცა ჩვენი სულები ასე აფორიაქებულია, მათ დასაცხრომად, კიდევ ერთხელ დავუბრუნდეთ ჩვენი თანატოლი გურამ რჩეულიშვილის „ალავერდობას", მოთხრობის იმ ადგილს, როცა ბრბოს წრეგადასულ ღრეობას შეჰყურებს ჭაბუკი ალავერდობის დიდ დღესასწაულზე. თუმცა ბევრმა კარგად არც იცის, რას ზეიმობს.

„უკრავს დოლ-გარმონი, ზურნა, ჭიანური. გვერდი-გვერდ მდგარი რამდენიმე დასტა დამკვრელებისა დაუღალავად აცეკვებს ახალმოსულებს.

...მათ შეხედვისას უცნაური სიცარიელე იგრძნობა და უმიზნო დაუოკებელი ვნება სუფევს გარშემო". და მაინც შეძლებს ჭაბუკი გამოეყოს მათ, თუშის უბელო ცხენი დაუკითხავად გააჭენოს ფშანში, შემდეგ გამოფხიზლების ქარიშხალივით ჩამოუქროლოს უაზროდ და უთავბოლოდ მოძლხენთ, რომლებიც აქ „რელიგიური ინერციით" შეკრებილან.

მისი სითამამით გაღიზიანებული მთვრალი თუში დაედევნება ჭაბუკს. ალავერდის ტაძრის ხევულ კიბეზე სულმოუთქმელად არბის, მაგრამ თვითგადარჩენის ინსტინქტი არ სჭარბობს უფრო დიადს, რასაც საკუთარი ხალხის სულის გადარჩენა ჰქვია. ამიტომაც შევედრება ღვთისმშობლის ხატთან დაჩოქილ მოხუც ქალს: „იმათზე ილოცე დედავ, მე თვითონ გავიტან თავს".

მან კარგად იცის, რომ ხალხმა ერთად შეკრებით არ უნდა დაკარგოს სიბრძნე, გონი და სალი აზრი. ისიც იცის, თუ რაოდენ ძნელია, უცურო როგორ იქცევა განსაწმენდად და ცოდვათა შესამსუბუქებლად შეგროვილი შენი ხალხი ბრბოდ...

ალავერდის გუმბათზე დგება ჭაბუკი. წამით ყველაფერი ირინდება ქვევითაც. ახლა სული ზეიმობს, რადგან უცნობი ძალა იპყრობს გუმბათის თავზე მდგომ სხეულს: ახალი, შეუცნობლად კანონზომიერი, შეერთებული გრანდიოზულ, უსიტყვო შრომასთან. ის ფიქრობს, საიდან მოდის ეს სიცოცხლისუნარიანობა და პასუხობს: „ის თვითონ ჩემშია, ის თვითონ ხალხშია, მაგრამ აქ ზოგიერთნი დაბნეულან და ველარ გრძნობენ შემოქმედის ნამდვილ სიამოვნებას, სიამოვნებას შრომისას, რადგან ვნების სიმძაფრე შენებაშია და არა აშენებულით ტკბობაში".

დღეს, როგორც არასდროს, ისე გვჭირდება 25 წლის ჭაბუკის მიერ დაწერილი ეს სიტყვები.

დღეს შენება და გამრთელება სჭირდება საქართველოს. ამისთვის კი განურჩევლად ყველას გვიხმობს.

და, რაც არ უნდა ძნელი იყოს ახლა მაინც ერთმანეთის გვერდზე უნდა დადგნენ ისინი, ვისაც პროფესიონალიზმთან ერთად საქართველო ტკივათ უპირველესად.

ნინო წერეთელი

სანამ გვიან არ არის

სამშობლო განსაცდელშია! იმ დღესაც მოვესწარით, რომ ქართველმა ქართველი სასიკვდილოდ გაიმეტა და ტყვია ესროლა. დაიღვარა სისხლი, დაიღუპნენ ვაჟკაცები, არიან დაჭრილები, ქართული ოჯახები ძაძებით შეიმოსნენ, ერს გამოაკლდნენ შესანიშნავი ვაჟკაცები, რომელთა დიდი ენერგია და სიცოცხლე დღეს ასე გვჭირდება.

დებო და ძმებო! მტერს ნუ გავახარებთ! ვინ არ იცის, რომ გარკვეული პირები მოუწოდებენ მოსახლეობას შეიარაღებული რაზმების შექმნას და მოწინააღმდეგე მხარის ფიზიკურ განადგურებას. ნუთუ არ უნდა ვიკმაროთ დაღვრილი სისხლი? წინ ის დავაყენოთ, რომ ჩვენ ყველანი ქართველები ვართ, რომ ჩვენს ძარღვებში ქართული სისხლი ჩქეფს, და არა ის, თუ ვინ რომელ პარტიაშია და ვის პოზიციაზეა.

სანამ გვიან არ არის, გონს მოვეგოთ! ნუ ჩავიდენთ საუკუნოებრივ ცოდვას, ერი არაფერს ივიწყებს და არავის არაფერს აპატიებს, გვეყო დაღვრილი სისხლი!

ქართველ შეზღუდულთა კავშირი.

წერილი რედაქციას

ნუ გაიჩენ კერპსა...

საქართველოსათვის ამ მძიმე განსაცდელის ჟამს, გიგზავნით ამ მცირე ამონაწერს ქართული პრესის ფურცლებიდან. იქნებ წინაპართა შთაგონებამ, მათმა სიტყვის ძალამ, მახვილგონიერმა რჩევა-დარიგებამ იქონიოს ზეგავლენა დღევანდელი საქართველოს ბედით დაინტერესებულებზე.

პატივისცემით, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი
იოსებ ლორთქიფანიძე

„რა შველის საქართველოს

თუ ჩვენ, ქართველებმა, ეხლა მაინც არ ვცანით თავი ჩვენი, თუ ეხლავ არ შეუდექით დროისა და გარემოების შესაფერ თადარიგს, თუ ეხლავე არ მოვისაზრეთ და არ ვიგულისმოდგინეთ ჩვენი მამულის მომავალი, ეხლანდელ გარემოებათა ტალღები ისე წაგვლეკავს, რომ მომავალ დგამს უცხო ხალხებისას არქეოლოგიური გამოკვლევები დასჭირდება ჩვენი არსებობის კვლევის მისაგნებად.

საქართველოს საშველათ ორს გარდაუვალს მოთხოვნილებას გვიკიჟინებს ეს მეორეთ მოსვლის მსგავსი, ეს სისხლის წვიმების დრო.

პირველი მოთხოვნილება არის ჩვენი პოლიტიკური პარტიების სრული შეთანხმება საერთო პოლიტიკურ-ეროვნულ საქმეებში და მათი მტკიცეთ შეკავშირება გარეშეთაგან მოსალოდნელი განსაცდელის წინააღმდეგ.

ამ განსაცდელს ჩვენი შეთანხმებული პარტიები და ჩვენ ყველანი უნდა დავხვდეთ არა როგორც პარტიებისა და კლასების წევრნი, არამედ როგორც ქართველები, საქართველოს შვილები, ერთი სულით, ერთი გულით, ერთი პირითა და სიტყვით.

მეორე მოთხოვნილება ის არის, რომ დაუყოვნებლივ შევთანხმდეთ ყველა მეზობლებთან, შევეკრათ მათ კავშირით, არა მარტო ქაღალდზე და წერილით, არამედ გულში ჩაჭიდებით, ეხლავ უნდა მოვიგოთ ჩვენი მტკიცე ნებისყოფის გამოჩენით და ნამდვილ მეგობრულ დახმარებით... ეს უშველის საქართველოს ამჟამად, ეს გადაარჩენს მას უარესისაგან ახლო მომავალში. ქართველო გულუბრყვილო ერო, იცან თავი შენი, ნუ გაიჩენ კერპსა ნურცა ცაში, ნურცა ქვეყანაზე"...

ჟურნალი „სიმართლის ხმა", 1917, №1, გვ. 1. 2 სექტემბერი.

თვალსაზრისი

დროა აღვადგინოთ ქართული ცხოვრების წესი

ყოველ ერს თავისი ცხოვრების წესი აქვს, ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოთი და მეურნეობა-საქმიანობით განპირობებული. ცხოვრების წესი ხალხის მატერიალური და სულიერი კულტურის სინთეზია, რომელიც ეროვნული ტრადიციების მეშვეობით ყოველდღიურობაში ვლინდება და თაობიდან თაობას გადაეცემა. მაშასადამე, ერის იერსახეს და მეობას ცხოვრების წესი ქმნის და ყოველი მოძალადე, დამპყრობელი მის დარღვევას, გადაგვარებას ცდილობს. ამის სამწუხარო მაგალითია საქართველოს მთელი ისტორია. მიუხედავად ყველაფრისა, ქართული ცხოვრების წესი დღემდე მაინც ცოცხლობს, მართალია, შებღალული და დამცირებული, მაგრამ კვლავ მგზნებარე და სიცოცხლისუნარიანი.

სულ ახლახან „საბჭოთა კავშირის ერთა ძმურ ოჯახში "ვიყავით გაერთიანებული, „ახალ ისტორიულ ერთობას — საბჭოთა ხალხს" წარმოვადგენდით და "ფორმით ნაციონალურ და შინაარსით სოციალისტურ კულტურას" ვქმნიდით. სიტყვების ამ დემაგოგიურ თამაშზე იყო დამოკიდებული ჩვენი ბედი, მთელი ერის ყოფნა-არყოფნა. საარსებო საშუალებების განზოგადებამ, სოციალისტური საკუთრების უზენაესობამ „საბჭოთა ადამიანის" ისტორიაში ჯერ არ ნახული ტიპი ჩამოაყალიბა, ორმაგი სულით და ნაძალადევი, არანორმალური ცხოვრების წესით. შრომის დიდებაზე გადაგებული ვიყავით და პატიოსანი შრომა ისე გაუფასურდა, რომ ყოველგვარი აზრი დაკარგა. სამაგიეროდ, სიბოროტემ და მომხვეჭელობამ გაიკაფა გზა. დღესაც, ამ უმძიმეს და ურთულეს გარდამავალ პერიოდში, ის, ვინც არაკანონიერი გზით გამდიდრდა (კანონიერად ქონების მოპოვება კეთილდღეობის მოპოვება გამორიცხული იყო), ის ბატონობს, არაფრად აგდებს ფასების კატასტროფულ ზრდას. სწორედ მას შეუძლია ეკონომიკის უმწვავესი პრობლემებისადმი გულგრილი იყოს, რადგან, რაც არ უნდა მოხდეს, მისი ობივატელური მოთხოვნილებანი მაინც განაღდებულია იქნება, სოციალურად დაუცა- [illegible] წესის გონივრულად აღდგენა საყოველთაო კეთილდღეობას უზრუნველყოფს და ყველას, მათ შორის „უძღებ შვილთაც" სათანადო ადგილს მიუჩენს.

საყოველთაოდ აღიარებული აქსიომაა, რომ პიროვნებანი აქ არაფერ შუაში არიან, ცხოვრების უკუღმართობანი წარმოშობს ყოფით ანომალიებს, რასაც ხშირად მთელი ერის ინტერესები ეწირება. მთავრობამაც და ოპონენტებმაც უნდა გაითვალისწინონ, რომ ორი საუკუნეა ქართველი ერი საკუთარი ცხოვრების წესს მოწყვეტილი, ამაზრზენ ვითარებაში ცხოვრობს, ამიტომ შეიქმნა ცოტნეების სიმცირე და სადუნ მანკაბერდელთა ზეობა. რაგინდ ვეცადოთ, ამჯერად ეგრეთ წოდებული „ეროვნული იდეოლოგიის" ჩამოყალიბება განწირული ცდა აღმოჩნდება, თუ ქართული ტრადიციული ცხოვრების წესი მთელი მისი სრულფასოვნებით, შემეცნებითად არ გავიაზრეთ და მისხალ-მისხალ არ აღვადგინეთ.

ყოველივე ამის საფუძველი კი მიწასთან დამოკიდებულების ურთულესი საკითხია. მიწა ქართველი კაცისთვის მხოლოდ საარსებო საშუალება კი არ იყო, არამედ ეროვნული თვითშეგნების ქვაკუთხედი, ბალავარი. მიწათმოქმედება და ქართველობა შეგნებული მსოფლიოს თვალში იმთავითვე სინონიმები გახდა, და ახლა რაც უბედურება გვჭირს, მშობლიურ მიწას რომ მოვწყდით, საკუთარ სამშობლოში ხიზნებად რომ ვიქეცით, სწორედ მისი შედეგია. აი რა განაპირობებს ამდენ ავკაცობას და დანაშაულს. დაუსაქმებელი, ჯანღონით სავსე ახალგაზრდები, რომელთაც „ტკბილი ცხოვრება" არსებობის მიზნად გაუხდიათ, აღარაფერს ერიდებიან. პატიოსან შრომას კი ჯერჯერობით ასპარეზი ვერ შეექმნა. რაც უფრო დიდხანს შევინარჩუნებთ იმპერიული მიწათმოქმედების წესებს, მით უფრო გავზრდით ყოველგვარი ჯურის მკრეხელობას და ავაზაკობას, ვერა და ვერ მოვიშორებთ სულთამხუთავივით თავს დამდგარ შიმშილის აჩრდილს. გამოსავალი ერთადერთია: რაც შეიძლება მალე მიწაზე კერძო საკუთრების აღდგენა, რომელიც, ბუნებრივია, ქართველებს მიწის დამუშავების შთამომავლობით სიყვარულს დაუბრუნებს და ღვთისმშობლის კალთადაბერტყული, მადლიანი ქართული მიწა კეთილდღეობის ნატვრისთვალი გახდება. ეს მოსაზრება აბსოლუტურად სწორია, მაგრამ, როგორც კი იმპერიის კლანჭების ძალა შესუსტდა და ცხოვრების მწვავე აუცილებლობათა წინაშე დავდექით, მიწის კერძო საკუთრება მიუღწეველი აღმოჩნდა. დიახ, ამ იდეალამდე უფსკრულია, ხოლო ის რომ გადაელახოთ, ან უნდა ამოვავსოთ, ანდა ხიდი გავდოთ...

დღეს პრესაში უამრავი რჩევა-დარიგება და წინადადებანი იბეჭდება. განხილვისათვის გამოქვეყნდა კანონპროექტი საქართველოს რესპუბლიკის მიწის რეფორმის შესახებ.

ჩემი გულწრფელი გაოცება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ პროექტი საერთოდ არ ითვალისწინებს მიწის საკუთრებისა და ფლობის ტრადიციულ ქართულ სისტემას, ეროვნულ ნიადაგს მოწყვეტილი და ზერელე, „ინტერნაციონალური" ხასიათი აქვს.

სრულიად უგულებელყოფილია ქართული სოფლის ილიასეული უზენაესობა. პროექტში ნასოფლარების უფრო მეტი ყურადღება ექცევა, ვიდრე ცოცხალ, მოქმედ სოფლებს, თუმცა ნასოფლართა აღდგენა ისე ცალსახად ვერ მოხერხდება, როგორც ეს პროექტის ავტორებს წარმოუდგენიათ.

ჩემი ღრმა რწმენით, მოქალაქეთა საკუთრებაში არსებული მიწების გასხვისება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით დაუშვებელია. აქ უპირატესობა უნდა მიენიჭოს ქართულ ჩვეულებით და ტრადიციულ ნორმებს.

ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ პროექტი ხელუხლებლად ტოვებს კოლმეურნეობებს, საზოგადოებრივ (საბჭოთა) მეურნეობებს და შესაბამის სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს, რაც ახლანდელ ვითარებაში ანაქრონიზმია და ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს.

ზედმეტად მიმაჩნია მიწის პატრონობისა და განაწილებისთვის ახალი ბიუროკრატიული აპარატის შექმნა. იქ ხომ კორუმპირებული, ყოფილი საბჭოთა მუშაკები მოკალათდებიან — ხალხის ყვლეფის დიდოსტატები, მექრთამეები და მომხვეჭელები.

ნუთუ აღარ დადგა დრო ქართული ტრადიციული სოფელი თავის უფლებებში აღდგეს და მკვიდრ მიწათმოქმედს მიენდოს მიწის პატრონობა, ე. ი. საკუთარი ბედის გადაწყვეტა.

რაც შეეხება მოსულთ, ხიზნებს და სხვა მისთანებს; სოფლის მკვიდრ მეკომურთა ყრილობა ტრადიციულ საფუძველზე თვითონ განსჯის, ვის რა ეკუთვნის.

მიწის საკუთრებისა და ფლობის ქართული წესით უნდა ისარგებლონ, იხელმძღვანელონ საქართველოში არსებულ არაქართულ სოფლებშიც. ქართული სამიწათმოქმედო სამართალი ათასწლეულთა მანძილზეა დახვეწილი და, მერწმუნეთ, დაზარალებული არავინ გამოვა. ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძემ და ივანე ჯავახიშვილმა ცხადყვეს საქართველოს ეკონომიკისა და მამაპაპური სოფლის მეურნეობის უპირატესობა და ყოვლისშემძლეობა, რამაც ათასწლეულთა მანძილზე განუწყვეტელ შემოსევებს, ომიანობას გაუძლო და ქართველი ერის უკვდავება განაპირობა. ყოველივე ამის საფუძველს ილია მიწის საკუთრების, ფლობისა და სარგებლობის ქართულ წესში ხედავდა: მიწა სოფელს ეკუთვნოდა საერთო-სათემო საკუთრებაში. სოფელი კომლებისგან შედგებოდა, თითოეულ კომლს სამემკვიდროდ ნაკვეთი „საკომლო" ეძლეოდა, რომლის სიდიდე განსაზღვრული იყო სოფლის მდებარეობით და მეურნეობის ხასიათით. საკომლო იგივე ფეოდალური „ფუძე" და ძირითადად საკარმიდამოს, სახნავ-სათესს, ბაღ-ვენახს და შინასათიბებს გულისხმობდა. მკვეთრად განასხვავებდნენ შინაყანებს — ნაფუძვრებს და ხოდაბუნებს, აღმოსავლეთ საქართველოში სარწყავს და ურწყავს. საკარმიდამოსთან ერთად, სახნავ-სათესი, ბაღ-ვენახი და შინასათიბები, როგორც წესი, კერძო საკუთრებაში იყო, ვინც მათ უხვად ფლობდა, მდიდარი და სვებედნიერი გახლდათ. ამიტომ უკანასკნელ კაპიკს ზოგავდნენ და მიწას ყიდულობდნენ, მიუხედავად იმისა, რომ მიწის ფასი საარაკოდ გაზრდილი იყო. როცა კაპიტალმა იმძლავრა, მიწათმფლობელობის ტრადიციულ სისტემას შემოუტია და ქართველობამ, მეტადრე თავად-აზნაურობას მამული ხელიდან ეცლებოდა, ერის მამამ ილია ჭავჭავაძემ საგანგებო ბანკი დააარსა და თავდაუზოგავად იბრძოდა, რათა უცხოთა ხელში ქართული მიწა არ გადასულიყო. მაშინდელი გამოცდილება ახლაც არ გვაწყენდა.

საძოვრები, გარსათიბები და ტყეები სასოფლო-სათემო საკუთრებაში რჩებოდა და მათი გამოყენების კოლექტიური ხასიათის მიუხედავად, სოფლის ადათობრივი სამართლის წყალობით, უკმაყოფილო არავინ რჩებოდა. მიწის გამოყენება, უპირველეს ყოვლისა, მის დაცვასაც გულისხმობდა, რასაც მრავალსაუკუნოვანი მამაპაპური საწარმოო ცოდნა-გამოცდილებით აღწევდნენ. სოფლის შემოგარენის მიწები, რა თქმა უნდა, კერძო საკუთრებაშიც იყო, მათ შორის ტყეებიც („ნამოვარი", „დაცული", „საბლავები", „ნერგები" და ა. შ.), ხდებოდა მათი ყიდვა-გაყიდვა, მაგრამ უმეტესად სოფელში მცხოვრებთა შორის და არცთუ იშვიათად ერთი გვარის პატრონომიულ გაერთიანებაში. ამრიგად, სოფელი ერთ მთლიან ორგანიზმს წარმოადგენდა, რომელსაც ტრადიციული თვითმმართველობის მეოხებით კომლთა უფროსების ყრილობა მართავდა. სოფელს თავისი იდეოლოგიური ცენტრი — ხატ-სალოცავი, ეკლესია, სასაფლაო და შესაკრები მოედანი ჰქონდა („საერობო"). გარდა ამისა, თითოეული უბანი და გვარი თავის სალოცავსა და „საფიხვნო"-„სანახშოში" იყრიდა თავს; ღვთაებას, ადგილის დედას ზედაშედ სწირავდნენ მოსავლის (ხორბალი, ღვინო, ერბო...) საუკეთესო ნაწილს, რასაც სადღეობო ლხინში მოიხმარდნენ. დღეობებით განსაზღვრული იყო მოცემული სოფლის ვერტიკალურ ზონალობაში მდებარეობის მიხედვით შრომა-საქმიანობა და დასვენების შეთანაწყობა, რასაც მიჰყვებოდა ქრისტიანული მარხვები და ხსნილები. მთელი სოფელი ალოს — სასოფლო-სამეურნეო სამუშაოს ერთად იწყებდა და ერთად ამთავრებდა. მოსავლის აღების შემდეგ საქონლის თავისუფლად გაშვებას — „ელიობას" ადათი განსაზღვრავდა. უქმე-დღესასწაულებიც ყველასთვის ერთი იყო, ოღონდ თითოეულ სოფელს საკუთარი დღეობა ჰქონდა, რომელიც სხვა სოფლის დღეობას არასდროს არ ემთხვეოდა.

გეთანხმებით, „განვითარებული სოციალიზმი" როცა გავიარეთ, ძალიან გაგვიჭირდება ამ „გვაროვნულ-პატრიარქალურ" ყოფაში დაბრუნება, მაგრამ, მოდით, მარქსისტული ფორმაციების ტყვეობას თავი დავაღწიოთ და ყოველგვარი „იზმების" გარეშე განვსაჯოთ: სოფელს მიწის ჩათვლით ყველა საარსებო საშუალება მოეპოვება. შესაძლებლობის მიხედვით უზრუნველყოფილია საყოველთაო შრომა-დასაქმება, ოჯახის წევრები აუცილებელს იღებენ მოთხოვნილების მიხედვით, ყოველ შემთხვევაში მშიერი და ტიტველი არავინ რჩება. დროულად ქორწინდებიან და ერის კვლავწარმოების საქმე საიმედოდ გარანტირებულია. როცა იმდენად მომრავლდებიან, რომ ადგილზე საკარმიდამოებს ველარ გამონახავენ, სავარგულებიც ჭარბ მოსახლეობას ვერ გამოკვებავს, თუ არის შესაძლებლობა ახლო-მახლო სხვა სოფელს დააფუძნებენ, ხოლო თუ სიმჭიდროვეა, ბუნებრივი ნამატი ხეობიდან, ზოგჯერ კუთხიდან და ხანდახან სამშობლოდანაც გადის. ასე იყო მე-19 საუკუნეში, როდესაც მომრავლებულმა რაჭველებმა ჩრდილოეთ კავკასიას მიაშურეს და ილიამ განგაში ატეხა — ამ ფუტკარივით შრომისმოყვარე ქართველებს საქართველოს ფარგლებს გარეთ ნუ გაუშვებთო, საქართველოშივე დავასახლოთო. ახლა „განვითარებული სოციალიზმის" წყალობით რაჭა მომაკვდავია...

ბატონებო, მესამე ათასწლეულის კვირაძალზე მაინც სწორად გავაცნობიეროთ ილია ჭავჭავაძის ერთიანი ნიადაგის თეორია, ყოველგვარ პარტიულ სექტანტობაზე ავმაღლდეთ და დედის კალთას — ქართული ცხოვრების წესს დავუბრუნდეთ. ამაოდ არ ინახავენ იაპონელები და ინგლისელები ასე რუდუნებით და მომგებიანად თავიანთ ეროვნულ ტრადიციებს, ხოლო „უისტორიოდ" დარჩენილი ამერიკელები სიძველეებზე ნადირობენ...

ამრიგად, ქართული სოფლის სტატუსის შენარჩუნებას წინ უნდა უძღოდეს კომლის სტატუსის დადგენა, რამეთუ კომლთა ერთიანობა ქმნის სოფელს და ჭეშმარიტად ქართული სოფლები — საქართველოს.

ჩვენს სოფელს ილიას დროს გაცილებით უკეთესი მდგომარეობა ჰქონდა, ვიდრე დღეს. გარეშე მტრის შემოსევები და ტყეთა სყიდვა აღიკვეთა. ასეთ ფასად დაჯდა თავისუფლების დაკარგვა. ხალხი მოშინდა, ცარიზმის დრაკონული კანონების მიუხედავად, ქართული სოფლის ტრადიციულმა თვითმმართველობამ და მიწის საკუთრება-ფლობის ქართულმა წესმა თავი მაინც შემოინახა. ყოველივე ეს შინაგანი ეროვნული ენერგიისა (გ. ქიქოძე) და მე-19 საუკუნის სამოციანი წლების ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის შედეგია. საქართველო სრული ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ძალას იკრებდა და გაიმარჯვებდა კიდეც, რომ მარქსისტულ ოპიუმს არ მოეწამლა. ილია მოკლეს. სოციალიზმი ააშენეს, რის შედეგადაც ქართული სოფელი დარბეული და მიწასთან გასწორებულია. ნუთუ დღეს შესაძლებელია მამაპაპურ „ფუძეს" და საკომლოებს" დავუბრუნდეთ?! ანდა სადღაა ერის ბურჯი გლეხი, ნამდვილი მიწათმოქმედი?! გეთანხმებით, ნულიდან უნდა დავიწყოთ.

გამოწვლილვით უნდა აღირიცხოს ყოველი პიროვნება, რომელიც ჯერ კიდევ სოფელში ცხოვრობს და ტრადიციულ მეურნეობას მისდევს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ახალგაზრდა, მზარდ ოჯახებს. პირდაპირ ვიტყვი: სახელმწიფოს მიერ გამოიყოს სამკვიდრო სოფლებში მცხოვრებ მიწათმოქმედთა პრივილეგიური კლასი, რომელიც სამუდამო, სამემკვიდრო მფლობელობაში მიიღებს იმდენ მიწას, რამდენის დამუშავებას და მოვლას შეძლებს.

ასეთი ძირითადი კომლის სტატუსი სოფლის ყრილობაზე დამტკიცდება და მიწის მიცემაც ყრილობის გადაწყვეტილებით მოხდება.

მეურნეობის მოწყობისა და წარმართვისათვის როგორც სოფლიდან, ისე სახელმწიფოსაგან ძირითადი კომლი ყოველმხრივ დახმარებას მიიღებს სესხის, კრედიტის და სხვა მისთანათა სახით.

საქართველოში არსებული თითოეული სოფელი საკუთარ ისტორიულ საზღვრებში უნდა აღდგეს, რომლის სტატუსი განისაზღვრება კომლის სტატუსის განსაზღვრის შემდეგ.

წინასწარი მონაცემებით, სოფლად გამოიყოფა კომლის ორი უმთავრესი კატეგორია:

ა) მამა-პაპის მიწაზე კვლავ მკვიდრად მჯდომი ახალგაზრდა მზარდი ოჯახი, რომლის უზრუნველყოფისა და გამრავლებისთვის სახელმწიფომ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რადგან ის ქართველი ერის მომავლის გარანტია.

ბ) სხვაგან მცხოვრები და მომუშავე მამაპაპური კარმიდამოს მქონე კომლი, რომელსაც სოფელი შთამომავლობით მიღებულ მიწას შეუნარჩუნებს, თუ მას დაამუშავებს, გამოიყენებს და, როგორც კომლი, სოფლის საერთო ინტერესებს დაიცავს.

მსგავსი ღონისძიებანი უნდა განხორციელდეს საქართველოს არაქართულ რაიონებშიც.

სასურველია რეგიონალურ პრინციპზე შეიქმნას თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების პარკი, რომელიც ჯანსაღ კომერციულ საფუძველზე იარსებებს. ასეთი პარკი არ გამორიცხავს მამაპაპური შრომის იარაღების და გამწევი ძალის აღდგენას, სადაც ეს ხელსაყრელი და მომგებიანი იქნება.

სოფლის კომლთა ყრილობა გახდება გამგებელი არა მარტო მიწისა, არამედ სოფლის ტერიტორიაზე არსებული ყველა საწარმოსი, რომლის ყოფნა — არყოფნა გადაწყდება სოფლის და ქვეყნის სარგებლიანობის თვალსაზრისით.

სოფელი თუ საჭიროდ ჩათვლის, შექმნის კოოპერაციულ გაერთიანებას, რომელიც კომერციულ დამოკიდებულებაში იქნება სახელმწიფოსთანაც.

სოფლის ტრადიციული თვითმმართველობის აღდგენას, ხოლო შემდგომ სოფლის მართვას თანამედროვე დონეზე მოაზროვნე, განათლებული და ინტელექტუალურად სრულფასოვანი ადამიანები სჭირდება, ამიტომ ხელი უნდა შეეწყოს თითოეულ მათგანს მამაპაპურ კერას დაუბრუნდნენ და ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოცდილების საფუძველზე სათანადო წვლილი შეიტანონ სოფლის ცხოვრების რეორგანიზაციის საშვილიშვილო საქმეში.

საქართველოს თითქმის არცერთი მხარე არ დარჩა, რომ საქველმოქმედო საზოგადოება არ იყოს ჩამოყალიბებული. ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში მოსალოდნელი იყო მათი საქმიანობის გააქტიურება, მაგრამ რატომღაც ეს ასე არ მოხდა. ვფიქრობ, ქართული ცხოვრების წესის დაფუძნებასა და ქართული სოფლის აღორძინებაში საქველმოქმედო საზოგადოებებმა გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულონ. ისინი მრავალ გულწრფელ ენთუზიასტს აერთიანებენ, რომელთაც სრულიად უანგაროდ ბევრი სიკეთის გაკეთება ძალუძთ.

ასევე ნებაყოფლობით და პირადი ინიციატივის წახალისებით უნდა მოხდეს ნასოფლარების აღდგენა. ამ დიდ საქმეში აჩქარება გამორიცხულია. ჯერ ის უარყოფითი ფაქტორები უნდა აღმოიფხვრას, რომლებმაც ოდესღაც აყვავებული სოფელი ნასოფლარად აქცია, მხოლოდ ამის შემდეგ უნდა შევეცადოთ იქ მოახალშენეთა შეყვანას. ამ მხრივ მდიდარი მწარე გამოცდილებაა დაგროვილი და სიტყვას აღარ გავაგრძელებ. მხოლოდ დავძენ: ნასოფლარები სარეზერვო სამოსახლოებად უნდა შევინახოთ და იქ თავის დროზე ქართული მოსახლეობის ბუნებრივი ნამატი შევიყვანოთ.

მოახალშენენი და საერთოდ წელმოუმაგრებელი კომლური მეურნეობები იმის შემდეგ დაიბეგრებიან, როცა თავიანთი საქმიანობიდან მოგების მიღებას შეძლებენ.

სასურველია კერძო საკუთრებაში მასიურად გაიცეს, ოღონდ სოფლის მეკომურთა ყრილობის ნებართვით, ე. წ. „მიგდებული მიწები", იმ პირობით, რომ იქ გაშენდება ვენახი, ხეხილი და სხვა მრავალწლიანი კულტურები, იმ წესით, რაც საქართველოში ტრადიციულად იყო ცნობილი — „მიწის სანაშენოდ დაჭერის" სახით.

ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოცდილების გარდა, სოფლის დღევანდელი მოთხოვნილების სრულყოფილად წარმართვისათვის ამომწურავი უნდა იყოს გათვალისწინებული მოწინავე ქვეყნების სოფლის მეურნეობის მიღწევები, მაგრამ მოდაში შემოსულ „ფერმერული მეურნეობების" ნაცვლად, რომლებიც საზოგადოებრივი მეურნეობების მსგავსად უცხო სხეული გახდება, აღვადგინოთ, დავაფუძნოთ ჩვენებური კომლური მეურნეობები და უზრუნველვყოთ ქართული სოფლის ილიასეული უზენაესობა.

ჩემი ღრმა რწმენით, რაც მალე განვახორციელებთ ამ ღონისძიებებს, მით უფრო დროულად დავაბრუნებთ ქართული ცხოვრების წესს და თანდათან დავიბრუნებთ ეროვნულ იდეოლოგიას, სადაც გადამწყვეტი როლი სარწმუნოებამ უნდა შეასრულოს.

დამოუკიდებელმა საქართველომ, უპირველესად, წმინდა ილია მართლის ანდერძი — ენა, მამული, სარწმუნოება — უნდა განახორციელოს.

ლევან ფრუიძე.

მუქარით სიკეთე არ დაითესება

ორიოდე თვის წინათ პრეზიდენტყოფილმა „ნეზავისიმაია გაზეტას" კორესპონდენტთან ინტერვიუში, როცა მას თეატრალური ინსტიტუტის რექტორის **ეთერ გუგუშვილის** გადადგომის შესახებ ჰკითხეს, ასე უპასუხა: ეთერ გუგუშვილი პენსიაში თვითონ წავიდაო. კულუარებში ლაპარაკობდნენ, რომ ეს იყო ტყუილი, მაგრამ ტოტალიტარულ სახელმწიფოში ამაზე ხმამაღლა და პირდაპირ ლაპარაკს ვინ გაბედავდა. ამ განუკითხაობის ჟამს ბევრმა ღირსეულმა პიროვნებამ განიცადა დევნა. ერთი იმათგანი გახლავთ ქალბატონი ეთერ გუგუშვილი, იგი იძულებული გახადეს ჯერ რექტორობიდან წასულიყო, მერე კი უზენაესი საბჭოს დეპუტატობაზე ეთქვა უარი.

ბოლო წელიწადმა ბევრი ადამიანური ტკივილი არგუნა ქალბატონ ეთერს, თუმცა ამას იგი არ გაუბოროტებია. კვლავინდებურად მხნე და სიკეთისათვის შემართულია, სჯეროდა და კვლავაც სჯერა, რომ სიკეთე უძლეველია, ნათელი ყოველთვის დასჯაბნის უკუნს. სწორედ ბოლო ერთი წლის ამბებზე გვესაუბრება ქალბატონი ეთერ გუგუშვილი:

— ძალზე მოულოდნელი იყო ჩემი მოხვედრა პარლამენტში, მაგრამ ამ ახალ ამპლუაში შევედი იმედით, რომ რაღაცით დავეხმარებოდი ჩემს ხალხს, ქვეყანას. პირველი დღეებიდანვე ვგრძნობდი, რომ ჩვენ დეპუტატები არავის ვჭირდებოდით, ყველაფერი ერთპიროვნულად წყდებოდა. ამ ერთს კი მოსმენის უნარი არ ჰქონდა, დეპუტატებს შეურაცხყოფდა სიტყვით, ერთმანეთს უპირისპირებდა, ცინიზმის ატმოსფეროს ამკვიდრებდა. მახსოვს, ერთ-ერთ სხდომაზე მე წინაალმდეგი წავედი, რომ ქალიშვილთა საქორწინო ასაკად 16 წელი დამკვიდრებულიყო, ნაადრევად მიმაჩნდა. პრეზიდენტმა ტრიბუნიდან დამისვა კითხვა: თქვენ ხართ წინაალმდეგი?! უხერხული პაუზა ჩამოწვა, პასუხსაც არ დალოდებია, ისე გამოსცრა: იმიტომ არის ჩვენი საქმე კარგად, რომ თქვენისთანა ხალხი გვყავს პარლამენტში. ჩემდამი მოძღვნილ ამ სიტყვებს „მრგვალ მაგიდელთა" ხორხოცი მოჰყვა.

როცა სესიის დღე ახლოვდებოდა, თითქოს გულზე ლოდი მაწვესო, ისეთი გრძნობა მქონდა; იმიტომ, რომ ვიცოდი უსამართლობის, უტიფრობის მოწმე გავხდებოდი.

პარლამენტში ლამის ხელჩართულ ბრძოლამდე მიდიოდა საქმე, აქ ბატონობდა ერთი კაცი, ყველაფერი მის ნებას უნდა დამორჩილებოდა, „მრგვალი მაგიდის" დეპუტატები ყველაზე მომგებიან პოზაში რჩებოდნენ. ისინი ამ ერთი კაცის ყოველგვარ აზრს, თუნდაც დამანგრეველი ყოფილიყო, უაპელაციოდ იღებდნენ, ერთადერთ საბოლოო ჭეშმარიტებად აცხადებდნენ. თუმცა იქ იყვნენ ღირსეული ადამიანებიც, რომლებიც თავის ზნეობას არ ღალატობდნენ; ბატონები ლევან ალექსიძე, ნოდარ ნათაძე, თედო პაატაშვილი, გელა ჩორგოლაშვილი, რომან გოცირიძე, პაატა კოღუაშვილი... ისინი არ თმობდნენ თავიანთ პოზიციას, უკომპრომისონი იყვნენ. მათ დასცინოდნენ, ამრეზით უყურებდნენ, არავითარი თანაგანცდა, მხარში ამოდგომა, მხოლოდ ცინიზმი და გულგრილობა იკითხებოდა მათი თვალებიდან, ჩვენი პარლამენტის დარბაზში 37 წლის სუნი ტრიალებდა, ტონით ისტერიული, ღვარძლიანი და ანგარიშსწორების სულისკვეთებით გამსჭვალული.

ყველაზე თავზარდამცემი მაინც ის დღე იყო, როცა პრეზიდენტმა ქართველ ინტელიგენციას „კრიმინალური" უწოდა და ნოდარ დუმბაძე გამოაცხადა „ქურდული ლიტერატურის შემქმნელად", არ მეგონა ამ სიტყვებზე გული თუ არ გამისკდებოდა. მან უკეთილშობილური, უსათუთესი ბუნების მწერლის ხსოვნის შელახვაც კი იკადრა. და ამით იმხელა ცოდვა აიღო თავის თავზე, ისეთი ელდა და შიში დათესა ამგვარი შეფასებით, აშკარა იყო, რომ ამგვარ საქციელს ცოდვით დაცემა მოჰყვებოდა.

არ მინდა განაწყენებელი ადამიანის შთაბეჭდილება დავტოვო, მე მინდოდა მას ისე წაეყვანა საქმე, რომ თავი არ შეერცხვინა, გულწრფელად მსურდა მისთვის ყოველივე სიკეთე. მის თვალებში ამაოდ ვეძებდი სიკეთეს, მან ქართული რაინდიზმიც კი უარყო. მე იგი ადამიანურად ძალიან მებრალება, მაგრამ ერის წინამძღოლობა მეტად მძიმეა და იგი არაფერს გაპატიებს, სიყალბე არავის ეპატიება...

...მე სამგზის ვიყავი დევნილი. პირველად 1937 წელს, როცა „ხალხის მტრის" შვილად წოდებული მშობლიური სკოლიდან სხვა სკოლაში გადამიყვანეს; ეს ისეთივე ტრავმა იყო ჩემთვის, როგორიც მამის დაღუპვა. მეორე დევნა რექტორობიდან ჩემი წასვლა იყო შარშან აპრილის თვეში. მე წავედი იმიტომ, რომ ვიცოდი, უბოდიშოდ „გამაგდებდნენ", თავი ავარიდე ასეთ სამარცხვინო წასვლას და იძულებული გავხდი კულტურის მინისტრის სახელზე განცხადება დამეწერა. მესამედ პარლამენტიდან განმდევნეს, თუმცა, აქაც დავასწარი და ჩემი განცხადებითვე მოვიხსენი დეპუტატის უფლებამოსილება. ერთი სიტყვით, მე მათ ერთი ნაბიჯით ვასწრებდი და თვითონ მოვდიოდი [illegible] იქიდან, საიდანაც გაცლა სჯობდა.

აქვე ვბეჭდავთ განცხადებას, რომლითაც ეთერ გუგუშვილმა მიმართა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს აკაკი ასათიანს. იგი 1991 წლის 7 ოქტომბრითაა დათარიღებული:

„არ ვიცი, როგორ გადაწყდება ყოფილი კომუნისტების ბედი, დარჩებიან ისინი პარლამენტში თუ არა, პირადად მე მტკიცე გადაწყვეტილება მაქვს: თვითონ მივდივარ პარლამენტიდან.

ეს გადაწყვეტილება ფაქტობრივად მაშინ დამებადა, როცა სექტემბრის ერთ-ერთ სესიაზე ბატონმა პრეზიდენტმა გამოაცხადა, რომ ყველა, ვინც პარლამენტში კომუნისტური პარტიის ხაზით გავიდა, პარლამენტიდან გარიცხული უნდა იქნესო. მას შემდეგ მე არც ერთი სესიის სხდომას არ დავსწრებივარ.

ტელევიზიით ნანახი სესიების სხდომებმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა ჩემი გადაწყვეტილების სისწორეში. მე არც „პუტჩისტი" ვარ, არც პარლამენტის მტერი, არასოდეს ვყოფილვარ არც პარტიული ფუნქციონერი, არც ც. კ.-ს წევრი (ზოგიერთი ყოფილი ფუნქციონერი და ყოფილი ც. კ.-ს წევრი კი თქვენს გვერდით დიდ პატივში არიან) ვცხოვრობდი მორიდებულად, პატიოსნად და ჩემი ცხოვრება მინდა დავამთავრო შეურაცხყოფის, დამცირების და მუქარის გარეშე. ეს ყოველივე მესმის პარლამენტის ტრიბუნიდან, რაც ძალიან მაგონებს ძველ და ნაცნობ კომუნისტურ ხერხებსა და მეთოდებს. კმარა! ერთად ერთი რაც ვიცი (მიიღეთ ეს ჩემი სიტყვები, როგორც კეთილი რჩევა) ისაა, რომ მუქარით, ბოროტებით, ღვარძლით სიკეთე არ დაითესება.

მივდივარ პარლამენტიდან, მივდივარ მანამდე, ხანამ ზვალ თქვენ მიიღებთ ამა თუ იმ გადაწყვეტილებას.

და ბოლოს, რაც შეეხება ჩემს პარტიულობას — თითქმის ერთი წელია, რაც მე კომუნისტური პარტიიდან გავედი (1990 წლის ნოემბრის თვიდან... გ. ლ.) ოღონდ ზოგიერთი ყოფილი კომუნისტის მსგავსად არ გამომიცხადებია ამის შესახებ პრესაში, არ ვყვიროდი ტრიბუნებიდან, პარლამენტის ხაზელზე არ ვწერდი განცხადებებს, ვთვლიდი, რომ ეს ჩემი და მხოლოდ ჩემი პირადი საქმეა, ჩემი სინდისის საქმეა".

კვლავ ქალბატონ ეთერს მოვუსმინოთ:

— მე ვემხრობი იმ გეზს, რომელიც დროებითმა მთავრობამ აირჩია. ბატონმა თენგიზ სიგუამ თავის ინტერვიუში თქვა: კანდიდატურების შერჩევისას ყურადღებას არ ვაქცევ პარტიულობას, ჩემთვის მთავარი კრიტერიუმი მაღალი პროფესიონალიზმიაო. უფრო ადრე კი ბატონმა აკაკი ბაქრაძემ თქვა, რომ ახალი პარლამენტი თანამდებობების ან პარტიულობის მიხედვით კი არ უნდა შეივსოს, როგორც ეს მოხდა, არამედ იგი უნდა შედგებოდეს პიროვნებებისაგან. ეს ძალზე ანგარიშგასაწევი საკითხია, სწორედ კადრებმა გაუტეხეს ყველაზე მეტად სახელი პარლამენტს და განაპირობეს მისი დასამარება.

ვუყურებ იავარქმნილ რუსთაველის პროსპექტს და ვფიქრობ: როდის დაუბრუნდება ახალი სიცოცხლე გადამწვარ ქალაქს, უფრო კი იმაზე ვფიქრობ, რა ეშველება ჩვენ დანგრეულ, დაქანცულ სულებს.

ესაუბრა
გიორგი ლალიაშვილი.

დროებით კომიტეტში

იქნებ ყველამ არც კი იცოდეს, რომ ქალაქ თბილისში მხატვარ ოთარ ლითანიშვილის თაოსნობით შეიქმნა დაზარალებულ მოქალაქეთა დახმარების დროებითი კომიტეტი, რომლის მისამართია: თბილისი, კინოს სახლი, მე-2 სართული. როგორც დაზარალებულ მოქალაქეთა დახმარების დროებითი კომიტეტის ერთ-ერთმა წევრმა, მსახიობმა ვახტანგ კიკაბიძემ გვითხრა, დახმარების ფონდში ორგანიზაციებისგან, ძირითადად კი კერძო პირთაგან, უკვე საკმაოდ სოლიდური თანხა შემოვიდა — 400 000 მანეთი, ფულადი დახმარება მიეცემა ყველა დაზარალებულს, ოღონდ მათ სახლმმართველობიდან უნდა წარმოადგინონ ფორმა № 1..

ეხმარებიან თბილისელებს

თბილისელთა 256 ოჯახი დაგვიტოვა უსახლკაროდ გარდასულმა სამარცხვინო სისხლისღვრამ ძმათა შორის. ამ ოჯახების 720 წევრი მოითხოვს თანამოქალაქეთა თანადგომასა და დახმარებას.

საქართველოს სამხედრო საბჭოსთან თანამდგომი ქ. თბილისის თავდაცვის მოხალისეთა შტაბის დაზარალებულ თბილისელთა დახმარებისა და თანადგომის ფონდის მესვეურები დიდი გულისყურითა და მზრუნველობით ეკიდებიან თანამოქალაქეთა გასაჭირს. მათი თაოსნობით უკვე შეგროვდა თბილი ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, საოჯახო ნივთები, სათამაშოები, ფულადი სახსრები. დღეისათვის დაზარალებულ თბილისელთა ასამდე ოჯახმა უკვე მიიღო ერთდროული დახმარება, რომელიც ერთ სულზე ათას მანეთს ითვალისწინებს. ერთდროული დახმარების სახით თბილისის თავდაცვის შტაბთან არსებული ფონდი გასცემს 720 ათას მანეთს.

დაიწყო აგრეთვე უსახლკაროდ დარჩენილი თბილისელთა ოჯახების შესახლება მათთვის დროებით საცხოვრებლად გამოყოფილ ბინებსა და სასტუმროებში. დღეისათვის 140 ოჯახი უკვე დაკმაყოფილებულია საცხოვრებელი ფართით, დარჩენილნიც უახლოეს დღეებში მიიღებენ დროებით თავშესაფარს.

გრძელდება დაზარალებულთა დახმარებისა და რუსთაველის პროსპექტის აღდგენა-რეკონსტრუქციისათვის შემოსაწირთა მიღება კინოსახლის შენობაში. დღეისათვის 500 ათას მანეთზე მეტი პირადი დანაზოგი გაიღეს ამ მიზნით თბილისელებმა.

ქ. თბილისის თავდაცვის მოხალისეთა შტაბის პრეს-ცენტრი.

„საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციას

საქართველოს რესპუბლიკის აკადემიკოს შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ხელმძღვანელობა სრული პასუხისმგებლობით აცხადებს, რომ გავრცელებული ხმები მუზეუმში დაცული ეროვნული საგანძურის დარბევისა და გატაცების შესახებ მართალი არ არის. ამ განცხადების მომენტისათვის ყველა ექსპონატი ადგილზეა.

მუზეუმის თანამშრომლები, რომლებიც 22 დეკემბრიდან მუდმივად იყვნენ მუზეუმის შენობაში, მადლობას უხდიან მებრძოლებს, რომლებიც უმძიმეს საბრძოლო ვითარებაშიც კი ზოგავდნენ ეროვნულ საგანძურს.

ვინაიდან რესპუბლიკაში გამოცხადებული საგანგებო წესების პირობებში, ვითომდა უპატრონოდ დატოვებული ხელოვნების მუზეუმის დარბევა-გაძარცვის ყალბი საბაბით ა. წ. 8 იანვარს ექსპონატების უმძიმეს მდგომარეობაში ჩაგდებისთვის თანამდებობიდან გათავისუფლებულმა მუზეუმის ყოფილმა დირექტორმა, ბატონმა თამაზ სანიკიძემ, თანამდებობაზე დაბრუნების მიზნით, სცადა მთავრობის შეცდომაში შეყვანა, რაც დროულად აღიკვეთა.

საქართველოს საზოგადოებრიობას, მთავრობას და სამართალდამცავ ორგანოებს ვთხოვთ, განსაკუთრებული ყურადღება და სიფხიზლე გამოიჩინონ ეროვნული საუნჯის ხელყოფის და სხვა დანაშაულებრივი მოქმედების მიმართ.

საქართველოს რესპუბლიკის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დირექტორატი.

ყოველდღიური საფიქრალი

ბაზარი ჩვენი სიღარიბისა

იმგვარი სიღარიბე დაგვიდგა, რომ ვერც წარმოვიდგენდით. წელიწადი ისე გავიდა, თითი თითზე არ დაგვიკარებია. მთავრობა რაღაც გაუგებარს ჯახირობდა, კაცმა რომ თქვას, თვითონაც არ იცოდა რა უნდოდა. მიწის მშრომელი ხომ სულ მოსწყდა თავის საქმეს. უკვე მერამდენედ მოტყუვდა გლეხი. მიწა — თქვენაო, ეს ლოზუნგი, კიდევ ერთხელ გაცრუვდა. შედეგი კი ის გახლავთ, რომ სოფელი ძირითადად თავისი საკარმიდამო მიწის ანაბარა დარჩა, სოფელიცა და ქალაქიც. სოციალისტური, თანაც უკვე მოძველებული, მშრომელისათვის ყელში ამოსული, სტრუქტურების იძულებითმა ერთგულებამ ბაზარი ერთობ გააძვირა. საახალწლოდ 300-500 მანეთი ღირდა გოჭიც და ინდაურიც. კილოგრამი სულგუნი და გუდის ყველი — 100 მანეთი, ვაშლი და მანდარინი 20-25 მანეთი, ცალი კვერცხი 3 მანეთი...

დეკემბრის დამლევს და იანვრის დამდეგს დედაქალაქში შექმნილმა სიტუაციამ, რა თქმა უნდა, უარყოფითად იმოქმედა ისედაც გაძვირებულ ბაზარზე. გლეხებს ვერ ჩამოჰქონდათ პროდუქტები. უტრანსპორტობა თავის თავად და ეშინოდათ კიდეც ბაზარში გამოჩენა. 27 დეკემბერს, ცენტრალურ ბაზართან, ქუჩაში გაისმა სროლის ხმა. შეშინებულმა მოვაჭრეებმა დახლები მიატოვეს, ხალხი ერთი მეორეზე გადადიოდა, პირდაპირ ზედახორა შექნა. 22 დეკემბერს რუსთაველის პროსპექტზე გამართული ბატალიების შედეგად კრწანისის ბაზრამდე (კოლმეურნეობის მოედნამდე) აღწევდა ჭურვები და ტყვიები. ეს ბაზარიც, თვალისდახამხამებაში დაცარიელდა. აქაც უპატრონოდ დარჩა სურსათ-სანოვაგე.

მერე იყო ორიოდე მაგალითი იმისა, რომ ბაზრებს დაეცნენ და ლამე კოლმეურნეთა ქონება გაიტაცეს. ბაზრის ხელმძღვანელობამ გლეხებს დანაკარგი აუნაზღაურა, მაგრამ ამ უკანასკნელთ გული გაუტყდათ და ბაზრებისაგან პირი იბრუნეს. ყოველივე ამის შედეგი ის გახლავთ, რომ დღეს ბაზრები ცარიელია, აღარც გამყიდველი ჩანს, აღარც მყიდველი, კრწანისის მოიჯარეთა ბაზარში 640 სავაჭრო ადგილია. იმ დღეს აქ მხოლოდ სამოცამდე გლეხი იდგა დახლთან. ამ მხრივ ქალაქში ყველაზე უკეთესი მდგომარეობაა ცენტრალურ ბაზარში. მართალია აქ სინანულით გაიხსენეს ის პერიოდი, როცა წინასაახალწლო ვაჭრობისას 1500 ადგილს კიდევ 500 მაგიდას ჩაამატებდნენ ხოლმე და ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ თბილისელთა საახალწლო სუფრას კარგად მომსახურებოდნენ. ამ გაჭირვებისასაც ბაზრის კოლექტივი ყოველმხრივ ხელს უწყობს მოვაჭრეებს. სხვა ბაზრებთან შედარებით აქ უფრო ხალხმრავლობაა. დატვირთულია პავილიონების 80 პროცენტი. მოწადინებისა და გულისხმიერების ერთი მაგალითი: ამჟამად ნაგვის გამტანი სპეცსამსახური თითქმის არ მუშაობს, ამიტომ ცენტრალური ბაზრის დირექციის ყოველდღიურად 5-6 მანქანა ნარჩენები გააქვს. თვითონ შოულობენ საწვავს და მანქანებსაც. აქ მოქმედებს სავაჭრო შემსყიდველი საწარმო. თანამშრომლები რაიონებში ჩადიან, ყიდულობენ ხილ-ბოსტნეულს და, რა თქმა უნდა, ყოველივეს კერძო მოვაჭრეებთან შედარებით თბილისელებს უფრო იაფად სთავაზობენ. ბაზრის დირექციამ მოვაჭრეთა უსაფრთხოებაზეც იზრუნა. აქ სისტემატურად მორიგეობენ მილიციის თანამშრომლები, უზრუნველყოფილია სიმშვიდე, ერთი მხრივ, ნამეტი პროდუქტების გამყიდველთათვის და, მეორე მხრივ, მყიდველთათვის. ბაზრის დირექტორმა ლაერტ ზუბალაშვილმა ისიც გვითხრა, რომ იგი თანამშრომლებთან ერთად ზრუნავს ფასების მოწესრიგებაზე. მოგეხსენებათ დღევანდელი გაძვირებული ბაზრის ამბავი. დღეს კილოგრამი საქონლის ხორცი 60 მანეთი ღირს, გლეხმა რომ 10 მანეთი დააკლოს, იგი პრაქტიკულად არ იზარალებს. ის ფული კი თბილისელისათვის ანუ მყიდველისათვის მაინც შეღავათი იქნება. მით უმეტეს, თუ სხვა პროდუქტების ფასებიც მოწესრიგდება. ამ საკითხებზე თბილისის სხვა ბაზრების ხელმძღვანელებიც ზრუნავენ.

ასეა კრწანისის საიჯარო ბაზარშიც. მოიჯარეა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომერციული ფაკულტეტი. ბაზარს ბარე ორი წელიწადი არემონტებდნენ, რაც 2600 ათასი მანეთი დაჯდა. ამჟამად იგი კარგად გამოიყურება. ყველა პირობაა შექმნილი მოვაჭრეთა ორმხრივი და სრულყოფილი მომსახურებისათვის. აქ 32 სტუდენტი მუშაობს. თუ გავითვალისწინებთ, რომ თითოეული მათგანი თვეში მხოლოდ 10 დღეა დაკავებული, მაშინ მათი ხელფასი, 300 მანეთი, ნორმალურ გასამრჯელოდ უნდა ჩაითვალოს. მაგრამ მიუხედავად ამგვარი პირობებისა, ბაზარი თითქმის ცარიელია. სამწუხაროდ, ეს მხოლოდ კრწანისზე როდი ითქმის. ამგვარი მდგომარეობაა დედაქალაქის თითქმის ყველა საკოლმეურნეო ბაზარში. მოვაჭრეთა სიმშვიდე დღეს ყველგან დაცულია. პირობებიც შეძლებისდაგვარად გაუმჯობესებული, მაგრამ გლეხს, რაკი ერთხელ შეშინდა, აქეთ წამოსვლა უკვე უმძიმს. გორის რაიონის მოსახლეობაში ამჟამად დიდძალი ვაშლია, მაგრამ მის რეალიზაციას ვერ ახერხებენ უბენზინობის გამო. თუ სოფელ დიღმიდან (რომელიც ზედ აკრავს თბილისს) ბაზრამდე 5 ყუთი ვაშლის მიტანა მოქალაქეს 150 მანეთი დაუჯდა, რა თქმა უნდა, იგი ძვირად გაყიდის თავის პროდუქციას. ამგვარი სიტუაციაა ყველგან, რაც თავისთავად ერთი ორად აძვირებს ისედაც ძვირ ბაზარს. სად არის გამოსავალი?

აქ ერთი მთავარი საქმეა მოსაგვარებელი. რაიონების თავკაცებმა ადგილებზე უნდა მოაწესრიგონ სპეცმანქანებით მოსახლეობის უზრუნველყოფა. რაც არ უნდა დაჯდეს, დედაქალაქის სურსათით მომარაგებისათვის საწვავი უთუოდ უნდა გამოიძებნოს. სოფელს ხელი უნდა შევუწყოთ, რათა მან მოხერხებულად მიაწოდოს ქალაქს ნამეტი პროდუქტები. რაც უფრო უკეთესად გაკეთდება ეს საქმე, მით უფრო გაიაფდება ბაზარი. ჩვენ ამაში, რა თქმა უნდა, დღევანდელ ფასებს ვგულისხმობთ. თუ ყოველივეს სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით არ მივუდგებით, მაშინ არათუ ვერ შევაჩერებთ დღევანდელი ბაზრის ზღაპრულ სიძვირეს, არამედ ამ კატასტროფულ ზღვარს კიდევაც გადავლახავთ.

არის კი საქართველოში იმდენი ნამეტი პროდუქტი, რომ დღევანდელი ბაზარი შედარებით გაიაფდეს და ნამდვილი შიმშილობა არ დაიწყოს? თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ამ მხრივ ჩვენთან უკეთესი მდგომარეობაა. ვინც ამ ნათქვამს არ დაიჯერებს, ვთხოვ უახლოეს ბაზარში შეიაროს და საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ ჩვენს თანამემამულეებს ჰკითხოს ყოველივე ამის შესახებ. მათ საწუხარებით ჩამოაქვთ თბილისამდე, ისინი ერთობ ცოტანი არიან და, რა თქმა უნდა, თავის ნაშრომ-ნაწვალებს ძალიან ძვირადაც გვთავაზობენ. ჩვენს ბუნებრივ სიღარიბეს დღევანდელი არაჯანსაღი ვითარებაც ემატება და იმ მცირე მოსავალსაც ვერ ვიყენებთ, რაც ამ ხელმოცარულ წელიწადს მოვიწიეთ.

თუ ხელი არ გამოვიღეთ და რაცა გვაქვს ბაზრამდე მშვიდობიანად ვერ მივიტანეთ, ასე ჩვენი ღარიბი ლუკმაც დაგვეკარგება.

ჯემალ ქურხული.

საზღვარგარეთ

რამდენიმე სტრიქონით

მომავალი თვის დამდეგს განზრახულია ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯორჯ ბუშისა და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ბორის ელცინის შეხვედრა. იგი შეიძლება გაიმართოს ან ვაშინგტონში ან ნიუ-იორკში, სადაც ორივე ხელმძღვანელი მონაწილეობას მიიღებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს სხდომაში სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების დონეზე. ამას იუწყება უკანასკნელ ნომერში ამერიკული ჟურნალი „იუ. ს. ნიუს ენდ უორლდ რიპორტი". პრეზიდენტის თანაშემწემ ეროვნული უშიშროების საკითხებში ბრენტ სკოუკროფტმა წინათ განაცხადა, რომ ორივე ლიდერს ექნება „არსებითი საუბარი" თუნდაც ვიზიტს არ ჰქონდეს უმაღლესი დონის შეხვედრის ჩვეულებრივი სტატუსი.

უახლოეს ხანში საქართველოს რესპუბლიკაში შეიქმნება სამოქალაქო მთავრობა, რომელიც შეცვლის ახლანდელ სამხედრო საბჭოს. განაცხადა იაპონიის გაზეთ „ასაჰისათვის" მიცემულ ინტერვიუში საქართველოს პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა თენგიზ სიგუამ. მან აღნიშნა, რომ ხელისუფლების უზენაესი ორგანოს როლს რესპუბლიკაში შეასრულებს უზენაესი საბჭო. პრეზიდენტის პოსტი კი არასოდეს არ იქნება, რადგან მისი არსებობა საქართველოში დიქტატურის წარმოშობის მიზეზი გახდა.

საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა მიტერანმა სერიოზული შეშფოთება გამოთქვა აღმოსავლეთ ევროპასა და ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში შექმნილი ვითარების გამო. ვითარება რეგიონში მეტად სერიოზულია, იგი შეშფოთებასა და შიშს იწვევს, განაცხადა რადიოსადგურ „რადიო-ტელე-ლუქსემბურგისათვის" მიცემულ ინტერვიუში. ევროპის გაერთიანების ქვეყნებმა ყველაფერი უნდა იღონონ, რათა ამ რეგიონში ვითარება არ გადაიზარდოს კონფლიქტში, როგორც ეს იუგოსლავიაშია.

გერმანიის მასობრივი ინფორმაციის ზოგიერთი საშუალების მტკიცებანი იმის შესახებ, თითქოს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან რუსეთში გაგზავნილი ჰუმანიტარული დახმარების მნიშვნელოვანი ნაწილი ადრესატებამდე არ მიდის, გადაჭრით უარყო ბუნდესტაგის დეპუტატმა ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირ-ქრისტიანულ-სოციალური კავშირისაგან ჰერიბერტ შტარენბროიხმა. იგი ეს-ეს არის დაბრუნდა მოსკოვიდან, სადაც იმყოფებოდა ბუნდესტაგის ადამიანის უფლებათა და ჰუმანიტარული დახმარების ქვეკომისიის დავალებით, რათა შეემოწმებინა აღნიშნული ცნობები.

„თუ პალესტინელები არ მიიღებენ ისრაელის წინადადებას განახლონ სამი წლის განმავლობაში ოკუპირებული ტერიტორიებისათვის ავტონომიის მინიჭების შესაძლებლობა, ისინი დაკარგავენ მშვიდობის მიღწევის შესაძლებლობას", განაცხადა ლისაბონში ხანმოკლე ვიზიტად ჩამოსულმა ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრმა დავიდ ლევიმ, რომელიც გამართავს მოლაპარაკებას თავის პორტუგალიელ კოლეგასთან ჟუან დი დეუშ პინეიროსთან, რომელიც ევროპის გაერთიანებას მეთაურობს.

კანადის ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებმა მიიღეს გადაწყვეტილება განახორციელონ დაახლოებით ოთხი მილიონი ბავშვისა და მოზარდის ვაქცინაცია, მენინგიტის წინააღმდეგ, რომლის გავრცელების გამო უკანასკნელი, კვირების მანძილზე პანიკამ მოიცვა ქვეყნის მილიონობით ოჯახი. აუცილებელ აცრებს ჩაატარებენ ოტავასა და მის მიმდებარე კვებეკის დასავლეთ ნაწილში, სადაც ამ სენით დაავადებულთა ყველაზე მეტი ადამიანი გამოვლინდა.

„ერთი წლის წინანდელ იმ ღამეს აღვიქვამთ ტრაგიკულ და გმირულ ღამედ. მისი მოხებით ლიტვა ვერ დაიმორჩილეს და ვერ დააჩოქეს", — თქვა ლიტვის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ვიტაუტას ლანდსბერგისმა, რომელიც წუხელ ღამის ორ საათზე გამოვიდა პარლამენტის შენობის წინ კოცონებთან შეკრებილი ათასობით ვილნიუსელის წინაშე.

ზუსტად ერთი წლის წინათ, 1991 წლის 13 იანვარს, ამ დროს მედესანტეებმა დაიწყეს ვილნიუსის ტელეანძის შტურმი. გაიხსენა რა ეს ღამე, ლიტვის პარლამენტის მეთაურმა დამსწრეთ მოუწოდა ერთიანობისა და ურთიერთგაგებისათვის: „მოდით ვემზადოთ იმისათვის, რომ ყველა ჩვენგანმა უფრო მეტი ვიმუშაოთ მთელი მსოფლიოსათვის, მთელი ლიტვისათვის ჩვენი შრომის სარბიელზე".

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 31 იანვრის სხდომის დღის წესრიგსა და იუგოსლავიაში შექმნილ ვითარებას განიხილავენ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ჯონ მეიჯორი და ლონდონში პარიზიდან ჩამოსული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ბუტროს გალი.

ამ თვეში უშიშროების საბჭოს თავმჯდომარე დიდი ბრიტანეთი წინადადებას იძლევა მის სხდომაზე აზრი გაუზიარონ ისეთ საკითხებზე, როგორიცაა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როლის გაძლიერება, მათ შორის მსოფლიოს სხვადასხვა რაიონში მშვიდობის შენარჩუნების საქმეში, აგრეთვე იმის შესახებ, თუ რა შედეგები მოაქვს საბჭოთა კავშირის დაშლას საერთაშორისო უშიშროებისათვის.

საყოველთაო არჩევნები ისრაელში უნდა გაიმართოს ზუსტად აღნიშნულ დროს — 1992 წლის ნოემბერში, და არავითარი საფუძველი არა გვაქვს არჩევნების ვადამდე მოწყობისათვის, ნათქვამია ისრაელის პრემიერ-მინისტრის იცხაკ შამირის მიერ პრესისათვის გაკეთებულ განცხადებაში. იგი ჟურნალისტებს გააცნო მისმა თავმჯდომარემ იოსი ახიმეირმა ისრაელის კაბინეტის სხდომის შემდეგ. მთავრობა შეიქმნა 4 წლით და უნდა იმუშაოს ამ ვადით თავისი ქვეყნის საკეთილდღეოდ, ხაზგასმულია განცხადებაში.

რადიოსადგური „თავისუფლება" იუწყება, რომ შეერთებული შტატების პრეზიდენტობის ხუთმა კანდიდატმა დემოკრატიული პარტიიდან პრეზიდენტ ბუშს მოუწოდეს დაუყოვნებლივ გაუგზავნოს ე. წ. „სუვერენულ სახელმწიფოთა კავშირსა" და საქართველოს სასურსათო და სამედიცინო დახმარება.

ტაჯიკეთის დედაქალაქ დუშანბეში გაიხსნა ირანის საელჩო. ირანმა უკვე ყოფილი საბჭოთა კავშირის ყველა შუა აზიის რესპუბლიკასთან დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობა.

საქართველოს საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ლიგის განცხადება

საქართველოში დაიღვარა ქართველთა სისხლი. ორ დაპირისპირებულ ძალთა შეურიგებელ ბრძოლას შეეწირა ბევრი ჩვენი თანამემამულე — სიცოცხლით, ჯანმრთელობით სავსე ახალგაზრდები. ქართველმა ქართველზე ხელი აღმართა. გაიხარა მტერმა, დაღონდა მოყვარე, ძაძით შეიმოსა მრავალტანჯული ერი.

ქედს ვიხრით ძმათა ხელით დაღუპულთა წმინდა და ნათელი სულების წინაშე. ამ ძმათამკვლელ ომში არსებობს კი გამარჯვებული? ნუ შევეცდებით პოლიტიკურ შეფასებებს, რაგინდ მომხიბვლავადაც უნდა გვეჩვენებოდეს იგი, ყველაფერს სისხლიანი ლაქა აცხია. ლაქა, რომელსაც ვერაფრით ჩამორეცხავს ამ ომში მონაწილე და ამ ომის მიმართ ინდიფერენტულად განწყობილი ქართველთა საკმაოდ დიდი ნაწილი.

ამ გაუგონარმა ვანდალიზმმა დიდი სულიერი, ზნეობრივი და მატერიალური ზარალი მოგვაყენა. დაინგრა და დაიწვა თბილისის ულამაზესი და სამაყო ცენტრი. რუსთაველის გამზირმა დაკარგა თავისი განუმეორებელი ხიბლი.

უჭირს საქართველოს, უზნეობამ ხელი დაგვრია. დღეს, როდესაც ნერვები ყველას უზომოდ დაგვეძაბა და [illegible] ემოციების სიჭარბემ ზნეობრივ ნორმებს [illegible], მხილება სადაც მხილება და [illegible]. ამიტომ ახლა ნუ [illegible] მტრულ-მოყვარეებს ჩამოვთვლით, დავიოკოთ ემოციები და ცივი გონებით ყველაფერს ღრმად დავარქვათ კუთვნილი სახელი.

საქართველოში მიმდინარე პროცესებზე ბევრი რამ ითქვა და დაიწერა, ვფიქრობთ, უკეთესი იქნება, თუ დროებითი მთავრობა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, წარსული წლების მსგავსად, ტენდენციურად არ გააშუქებენ ჩვენს თავს დატრიალებულ ტრაგიკულ მოვლენებს. შეურიგდით! ზედმეტი, ზღვარგადასული ძალება, მით უმეტეს, თუ ის ცალმხრივია, სიძულვილისა და ღვარძლის თესვა, აღიზიანებს ხალხს და [illegible] იწვევს, ხელს უწყობს დესტაბილიზაციის პროცესების გაგრძელებასა და გაღრმავებას.

უმჯობესია დროებითმა მთავრობამ საქმით დამტკიცოს თავისი უპირატესობა, ამავე დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, დარწმუნდება თუ არა ხალხი იმის აუცილებლობაში, რომ არსებული ხელისუფლების გადასაყენებლად საჭირო იყო სამარცხვინო ტრაგედიის დატრიალება. ასევე გასარკვევია, სამართლებრივი, კონსტიტუციური, თუ გნებავთ, მორალური ასპექტით რამდენად კანონიერია ეს მთავრობა. თუ ეს საკითხები დადებითად გადაწყდა, მაშინ, რომ სტაბილიზაცია მაშინვე ჩაეყრება საფუძველი, ერი შემდეგ დროებით, [illegible] ამოქმედება ბი და მომზადება აღმშენებლობის ნიადაგი.

ამ მწვრო გაკვეთილებიდან ხალხმა უნდა გამოიტანოს სწორი დასკვნები. საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, უფრო, ვისაც ენაღვლება სამშობლოს ბედი, უნდა გამოიჩინონ მეტი ინიციატივა და აქტიური მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. დღეს პოლიტიკურ ავანსცენაზე უნდა გამოვიდნენ ახალი ძალები, რომლებიც სხვებთან ერთად იბრძოლებენ საქართველოს უკეთესი მომავლისათვის.

ქვეყნისთვის ამ მძიმე ვითარებაში, საქართველოს საზოგადოებრივი ორგანიზაციათა ლიგის წევრები გავერთიანდით, რათა ვიბრძოლოთ იმისთვის, რომ კვლავ არ განმეორდეს ეს ტრაგიკული დღეები და პერმანენტულად არ განვიცადოთ ბრძოლა ძალადობის პრეცედენტი. ლიგა ყოველნაირად შეუწყობს ხელს საზოგადოებრივ პოლიტიკური ძალების და საერთოდ მთელი ერის კონსოლიდაციას, დემოკრატიული და მაღალზნეობრივი იდეალების დამკვიდრებას. შევიმუშავებთ ჩვენს საარსებო ინტერესებიდან გამომდინარე კონცეფციებს და განსახილველად გამოვიტანთ საზოგადოების წინაშე, ითანამშრომლებს ყველა იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციასთან და ცალკეულ პირებთან, რომელსაც ანალოგიური მიზნები ამოძრავებთ. ლიგა მონაწილეობას მიიღებს მხოლოდ დემოკრატიული, სამართლებრივი პრინციპებით მოქმედ არჩევნებში.

ძვირფასო თანამემამულენო, რაც უფრო მეტი პატრიოტი, სხვადასხვა დარგის პროფესიონალი სპეციალისტები გაერთიანდებიან ლიგაში, მით უფრო ნაყოფიერი იქნება ჩვენი საქმიანობა. ჩვენ ვფიქრობთ, მეგობრებო, ლიგაში ოფიციალურად გაერთიანება შეუძლიათ მხოლოდ რეგისტრაციაში გატარებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, თუ წარმოადგენენ ოფიციალურ თანხმობას. თანამშრომლობა შეუძლია ყველა კეთილი ნების ადამიანს. ლიგა საქართველოს მოსახლეობას მოუწოდებს თანხმობისაკენ, შემწყნარებლობისაკენ. დაე, კვლავ დაისადგუროს სიყვარულმა, მიმტევებლობამ, სულგრძელობამ, იმ სულიერ-ზნეობრივმა ღირებულებებმა, რომლებითაც ყოველთვის გამოირჩეოდა ქართველი ერი...

ღმერთო, გადმოგვხედე და გონს მოგვიყვანე, შეგვინდე ამდენი უზნეობა, იხსენი საქართველო.

ჩვენი დროებითი მისამართია: ქ. თბილისი, ანაგის ქ. №20, 63-ე საშუალო სკოლის შენობა, შესასვლელი ეზოდან. ტელეფონი: 38-42-36, 39-44-65, 22-69-93.

საქართველოს საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ლიგის სათაობრო.

1992 წლის 10 იანვარი.

ველით მოსაზრებებს, წინადადებებს

1991 წლის 13 დეკემბრის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნდა „საქართველოს რესპუბლიკაში სამეცნიერო ხარისხების მინიჭების შესახებ" დებულების პროექტი, ხოლო 21 დეკემბერს სამი კანონპროექტი: „საქართველოს რესპუბლიკის საპატენტო კანონი გამოგონების შესახებ", „საქართველოს რესპუბლიკის კანონი სამრეწველო ნიმუშების შესახებ", „საქართველოს რესპუბლიკის კანონი სასაქონლო (სავაჭრო) ნიშნების შესახებ".

გთხოვთ, ზემოაღნიშნული დებულებისა და კანონპროექტების შესახებ თქვენი მოსაზრებები, წინადადებები და შენიშვნები, ნაცვლად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კომისიისა, წარუდგინოთ საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტროს.

ჩვენი მისამართია: ქ. თბილისი, ჯორჯიაშვილის, 12, ტელ. 98-84-27, 98-84-29

ავტორის ღირსების დასაცავად

თქვენი გაზეთის ა. წ. 8 იანვრის საგანგებო ნომერში დაიბეჭდა მიხეილ ბექანიშვილის წერილი „ჭეშმარიტი შეიძლება უმცირესობის აზრიც აღმოჩნდეს". წერილო უშუალოდ მეხება მე და, ამ სახით როგორც იგი გამოქვეყნდა, თითქოს მიხედ ისახავს ჩემს დაცვას „ეროვნული იდეოლოგიის ძალიაციისა" მესვეურთა თავდასხმებისგან. ამდენად მე მადლობელი უნდა ვყოფილიყავი, მაგრამ მაპატიეთ უმადურობა, მოხდა პირიქით — თავს შეურაცხყოფილად ვგრძნობ და შეშფოთებიც კიდეც და აი რატომ:

1. პოლემიკური წერილის გამოქვეყნებას აზრი აქვს მხოლოდ დროულად და უცვლელად, ყოველგვარი „შესწორება-რედაქტირების" გარეშე. ამ შემთხვევაში ორივე პირობაა დარღვეული. მ. ბექანიშვილის წერილის დედნის პირველსავე ფრაზაში, რომელიც „რედაქტირებისას" გაქრა, ნათქვამია, რომ იგი „საქართველოს რესპუბლიკას" ჩაბარდა 1991 წლის 18 ივნისს. მოგეხსენებათ, 18 ივნისიდან 8 იანვრამდე მარტო ნახევარი წელი კი არ გავიდა, ძირეულად შეიცვალა პოლიტიკური სიტუაცია საქართველოში. თუ შარშან მ. ბექანიშვილის წერილის დედააზრი გაბატონებულ ძალთა[illegible] დაცვა იყო, დღეს მისი პუბლიკაცია (სწორედ პუბლიკაცია და არა თვითონ წერილი) წაქცეულის ცემის იმსგავსებაა. რასაც, მერწმუნეთ, წერილის ავტორი არასოდეს იკადრებს და არც არავინ არ უნდა აკადროს. მით უმეტეს ვარ შეურაცხყოფილი, რომ ჩემი სახელი ამ ულამაზო ამბავში აღმოჩნდა ჩათრეული.

2. გაუგებარია, რა უფლებით (თუმცა გასაგებია — რა მიზნით) „დაათარიღა" რედაქციამ მ. ბექანიშვილის წერილი „1991 წლის დეკემბრით?"

3. მ. ბექანიშვილის წერილის „რედაქტირებისას" ამოღებულია მისი ის ადგილი, სადაც ლაპარაკია ჭეშმარიტების უპირობობაზე, ცერძოდ მის ზედროულობასა და „საშინაო" და „საგარეო" ჭეშმარიტებებად დაყოფის დაუშვებლობაზე. ამან წერილს ზოგადდემოკრატიული პრინციპების დაცვის პათოსი დაუკარგა და ერთი პიროვნების გამოქომაგების ხასიათი მისცა, რაც ავტორისთვისაც მიუღებელია და ჩემთვისაც.

4. შეშფოთებული კი ის გახლავთ, რომ დარწმუნებული ვარ, მ. ბექანიშვილის წერილის რედაქტორები ზემოხსენებულის მსგავს რამეებზე არცკი დაფიქრებულან. არც მათ კეთილგანწყობაში მეპარება ეჭვი და, თუ უნებლიეთ დაივიწყეს სამსახური გაგვიწიეს წერილის ავტორსაც და მეც, ეს „მხოლოდ" იმიტომ, რომ, როგორც ჩანს, ჯერ ვერ განთავისუფლებულან ბოლშევიკურ და პოსტბოლშევიკურ რედაქტორ-ცენზორთა გაუცნობიერებელი კომპლექსებისაგან, რომელთა შორის ყველაზე მავნეა სხვა ადამიანის (კერძოდ, „უცხო ავტორის") ღირსების უპატივცემლობა.

დარწმუნებული ვარ იმაშიც, რომ „საქართველოს რესპუბლიკის" თანამშრომელთა აბსოლუტური უმრავლესობა თავისუფალი პრესის გულმხურვალე მომხრეა, მაგრამ განა თავისუფალი პრესა შესაძლებელია თავისუფალი ჟურნალისტის, „შინაგანი ცენზორისაგან" განთავისუფლებული პიროვნების გარეშე, ისევე როგორც ყველა ჩვენთაგანისთვის საოცნებო თავისუფალი საქართველო შინაგანად თავისუფალ მოქალაქეთა გარეშე? თავისუფალი კი ვერ იქნება კაცი, რომელიც სხვა კაცის ღირსებას არ უწევს ანგარიშს და ისევე არ უფრთხილდება მას, როგორც საკუთარს.

კეთილი სურვილებით
ნიკო ჭავჭავაძე.

ფრთხილად, რადიაციაა!

შარშან, 11 ნოემბერს საქინფორმმა გამოუშვა მასალა სათაურით „როდის გამოლიტდებიან სტუდენტები?". მიუხედავად ამისა, იგი, სამწუხაროდ, არც ერთ გაზეთში არ დაიბეჭდა, თუმცა მისი ნაწილი გადაიცა რადიოთი და საზოგადოება ასე თუ ისე ინფორმირებული იყო.

სტატია ეხებოდა საჰაერო უსაფრთხოების სისტემებს, ძირითადად ისეთებს, რომლებშიც გამოყენებულია რადიოაქტიური პლუტონიუმის ბოლის მიმცემები.

აღნიშნული მიმცემლების ინსტრუქციის მიხედვით, ვიდრე ისინი სამუშაო მდგომარეობაში კედლებზე ან ჭერზეა დამაგრებული, გამოსხივების თვალსაზრისით უსაფრთხონი არიან. ამავე ინსტრუქციის მიხედვით მათი მექანიკური დაზიანების შემთხვევაში (დარტყმა, ხანძარი და სხვა) მდგომარეობა მკვეთრად იცვლება, რადგან მასში არსებული რადიოაქტიური პლუტონიუმის ფხვნილი შესაძლოა გაიბნეს და, თუ იგი შეუმჩნეველი დარჩა, შეიძლება გამოიწვიოს მძიმე შედეგები.

დაინგრა რუსთაველის პროსპექტი. არაა გამორიცხული, რომ ზოგიერთ შენობაში იყო აღნიშნული მიმცემლები. და თუ ეს ასეა, რა უნდა გაკეთდეს, რომ ავიცილოთ თავიდან საფრთხე? ამ კითხვაზე გვიპასუხებს უნივერსიტეტის გამოყენებითი ბირთვული ფიზიკის კათედრის გამგე ბატონი მიხეილ კვაილაძე.

— ვიდრე დაიწყება აღდგენითი სამუშაოები, — ამბობს იგი, — დაუყოვნებლივ საჭიროა შემდეგი: პირველი — დაწესებულებებმა, რომლებმაც თავის დროზე ამა თუ იმ ორგანიზაციებს დაამონტაჟეს სახანძრო უსაფრთხოების სისტემები, რომელთა შორის მიმცემლები შეიცავდა რადიოაქტიურ პლუტონიუმს, სასწრაფოდ უნდა წარმოადგინონ ნახაზები, რომელ შენობის რომელ ოთახში, და დერეფნის რა წერტილში იყო დამაგრებული ეს მიმცემლები; მეორე, დეზაქტივაციაზე პასუხისმგებელ ორგანიზაციასთან ერთად საჭიროა სასწრაფოდ გამოვავლინოთ პლუტონიუმის რადიოაქტიურობით გაჭუჭყიანებული ადგილები და მოვახდინოთ მათი იზოლაცია; მესამე — რადიოაქტიურობით გაჭუჭყიანებული საშენი მასალა და დარჩენილი მიმცემლები გადატანილ იქნეს სპეციალურ სამარხში; და მეოთხე — სამუშაოების ხარისხი უნდა შეამოწმოს არასაუწყებო კომისიამ.

ინსტრუქციის მიხედვით მხოლოდ და მხოლოდ აღნიშნული პუნქტების შესრულების შემდეგ შეიძლება დაიწყოს აღდგენითი სამუშაოები.

გია კორძაძე,
საქინფორმის კორ.

ორგანიზაციებისა და მოქალაქეების საყურადღებოდ!

საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ბანკი განაგრძობს მუშაობას შემდეგ მისამართზე: მთაწმინდის რაიონი, გ. ლეონიძის (ყოფილი კიროვის ქუჩა) 3/5, საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შენობაში.

დროებითი საკონტაქტო ტელეფონი — 36-90-89.

განცხადება

მე, როგორც ერთ-ერთი დამაარსებელი 1974 წლის ადამიანთა უფლებების დაცვის საინიციატივო და 1976 წლის ჰელსინკის ჯგუფისა, ვალდებული ვარ განვაცხადო შემდეგი: მიღებული ინფორმაციის თანახმად, აწ უკვე დამხობილი რეჟიმის დროს, გაზეთ[illegible] აღნიშნული ჯგუფის ძიების მასალები. ვთხოვ ყველა ბეჭდვით ორგანოს, რომელსაც ექნება ამ მასალებთან ურთიერთობა, გაითვალისწინოს ის.

ვიქტორ რცხილაძე,
ყოფილი პოლიტპატიმარი.
თბილისი. 1992 წლის 10 იანვარი.

სარედაქციო კოლეგია.

მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14,
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-73-24. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კომბინატში, ხოშარაულის ქ. № 29. ინდექსი 64434